

გიორგი გაბრიელაშვილი  
ელენე ნიჟარაძე

**ინფორმაციის თავისუფლებასთან  
დაკავშირებული სასამართლო  
პრაქტიკის ანალიზი**

თბილისი, 2004

## სარჩევი

I. შესავალი .....	3
II. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სამართლებრივი გარანტიები .....	4
III. კვლევის განხორციელების მეთოდოლოგია .....	6
IV. კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემები .....	6
V. სტატისტიკა .....	7
VI. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებული საქმეების სასამართლოში განხილვის ვადები .....	8
VII. მტკიცების ტვირთი .....	11
VIII. რა არის საჯარო ინფორმაცია .....	16
IX. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის მოქმედების სფერო .....	20
X. დახურული საჯარო ინფორმაცია .....	36
XI. განსხვავებული საქმეები .....	48
XII. პროცესის ხარჯები: სახელმწიფო ბაჟი და ზიანის ანაზღაურება .....	51
XII. დასკვნები და რეკომენდაციები .....	59
დანართი №1 .....	61

## I. შესავალი

ინფორმაციის თავისუფლება უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების გამჭვირვალობას, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. იგი შესაძლებლობას აძლევს რიგით მოქალაქეებს, თვალყური ადევნონ იმას, თუ რამდენად კანონმორჩილია ხელისუფლება და რამდენად სრულყოფილად ასრულებს იგი თავის ფუნქციებსა და მოვალეობებს.

ინფორმაციის თავისუფლების აქტი საქართველოში 2000 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში და მნიშვნელოვანი სიახლე შეიტანა თითოეული საჯარო დაწესებულების ყოველდღიურ ყოფაში. სამწუხაროდ, კანონის ძალაში შესვლა სრულიადაც არ ნიშნავს მის ეფექტურ გამოყენებასა და ხელისუფლების უსიტყვო მორჩილებას. კანონის პრაქტიკაში დანერგვის სიძნელეები საყოველთაო პრობლემაა და იგი მხოლოდ საქართველოსათვის არ არის დამახასიათებელი. სწორედ კანონის განმარტების, ცხოვრებაში დანერგვისა და ეფექტური აღსრულებისათვის დიდი ხნის წინ მოიგონეს სასამართლო, როგორც სამართლიანობისა და კანონიერების მოდარაჯე დამოუკიდებელი ინსტიტუტი.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ რამდენად ახერხებს სახელმწიფო მისი ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულების – საზოგადოებისათვის ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზებას, ხოლო ბიუროკრატიის მიერ პრობლემების შექმნის შემთხვევაში, – რამდენად ეფექტურია სასამართლოს მეშვეობით დაღვეული უფლებების აღდგენა.

ამ მცირე ნაშრომში შევეცდებით თქვენთან ერთად განვიხილოთ ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ სასამართლოებმა მიიღეს ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით. სასამართლოს განმარტებები, ხედვა, პრობლემების იდენტიფიცირება და გამოსავლის ერთად ძიება არის სწორედ ამ კვლევის ავტორებისა და ინიციატორების ძირითადი მოტივაცია.

წინამდებარე კვლევა, ვფიქრობთ, დაგვეხმარება იმის გარკვევაშიც, თუ რამდენად სრულყოფილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავი, რამდენად უნარიანია უზრუნველყოს ინფორმაციის თავისუფლების რეალურად განხორციელება და იძლევა თუ არა იგი კანონმდებლის ნების ერთგვაროვანი ინტერპრეტაციის საშუალებას. ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებად სწორედ უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე დაგროვილი სასამართლო პრაქტიკის ანალიზი მივიჩნევთ.

## **II. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სამართლებრივი გარანტიები**

ინფორმაციის თავისუფლება, როგორც ადამიანის თვითრეალიზაციისათვის აუცილებელი ფუნდამენტური უფლება, აღიარებულ იქნა 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციით. აღნიშნულმა უფლებამ ასახვა ჰპოვა კონსტიტუციის 24-ე და 41-ე მუხლებში. ბუნებრივია, ამ უფლების რეალობად ქცევა მხოლოდ კონსტიტუციის ზოგადი ნორმებით უზრუნველყოფილი ვერ იქნებოდა. მაგალითად, 24-ე მუხლი საკმაოდ ნათლად და იმპერატიულად აცხადებს, რომ "ყველა ადამიანს უფლება აქვს თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია", თუმცა იქვე, მეოთხე პარაგრაფი, აწესებს მთელ რიგ შეზღუდვებს<sup>1</sup>. სწორედ ამგვარი დებულებების არსებობის გამო, აუცილებელია ისეთი აქტის მიღება, რომელიც უფრო დეტალურად მოაწესრიგებს მსგავსი შეზღუდვების საკითხებს. ამასთან, თავად კონსტიტუციის 41-ე მუხლშია მითითებული, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია "კანონით დადგენილი წესით". შესაბამისად, საჭირო გახდა ისეთი ნორმატიული აქტის მიღება, რომელიც მოაწესრიგებდა ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

---

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 24.4.

"4. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად".

1999 წლის 23 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომლის III თავიც მთლიანად ინფორმაციის თავისუფლებას მიეძღვნა. კოდექსით დარეგულირდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: საჯარო ინფორმაციის რაობა, ინფორმაციის გაცემის ვადები, დახურული ინფორმაციის სახეები და მათი განსაზღვრის ზოგადი კრიტერიუმები; ასევე, დადგინდა საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ვალდებულება და ა.შ.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის გარდა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ საკითხებს სხვა ნორმატიული აქტებიც არეგულირებენ, კერძოდ:

- ა) სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებულ საკითხებს მთლიანად არეგულირებს 1996 წლის 29 ოქტომბერს მიღებული კანონი "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ";
- ბ) საგადასახადო კოდექსის 268-ე მუხლით დადგენილია გადაამხდელის შესახებ არსებული მონაცემების გასაიდუმლოება<sup>2</sup>.
- გ) "კომერციული ბანკების შესახებ" 1996 წლის 23 თებერვალს მიღებული კანონით შემოღებულია საბანკო საიდუმლოების ცნება. ამ კანონის მე-17 მუხლით განსაზღვრულია, თუ რა არის საბანკო საიდუმლოება და ვის შეიძლება გადაეცეს ეს ინფორმაცია;
- დ) "პაციენტის უფლებების შესახებ" 2000 წლის 5 მაისის კანონის V თავი ეხება პირადი ცხოვრების კონფიდენციალობას, რომელიც სამედიცინო მომსახურების გამწვევს აკისრებს ვალდებულებას დაიცვას პაციენტის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, და განსაზღვრავს ამ ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევებს;
- ე) საქართველოს "სისხლის სამართლის კოდექსის" 175-ე მუხლით დანაშაულს წარმოადგენს შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება მშვილებლების ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ და სათანადო პასუხისმგებლობის ზომაცაა განსაზღვრული მსგავსი ქმედების ჩადენისათვის.

---

<sup>2</sup> თუმცა, ეს ნორმა პრაქტიკაში ბევრ გაუგებრობას იწვევს, ვინაიდან მისი არასწორი ფორმულირების გამო, საგადასახადო ორგანოები გადაამხდელის შესახებ იმ ინფორმაციასაც ასაიდუმლოებენ, რომელიც სამეწარმეო რეესტრის მიხედვით ღიაა.

### III. კვლევის განხორციელების მეთოდოლოგია

კვლევის განხორციელებლად სამუშაო ჯგუფმა საქართველოს მთელი მასშტაბით, ყველა ინსტანციის სასამართლოდან გამოითხოვა ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საქმეები და მიღებული ინფორმაცია წინასწარ დადგენილი სქემის მიხედვით დაამუშავა. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკა და საქმეები, რომლებიც ამ ნაშრომშია განხილული, შესაძლებელია ამომწურავი არ იყოს, მიუხედავად ჩვენი მრავალჯერადი მცდელობისა მოგვეპოვებინა სრული ინფორმაცია.

### IV. კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემები

კვლევის განხორციელებისას წარმოქმნილი სირთულეებიდან უნდა აღინიშნოს:

#### 1. საქმის მასალების მოპოვების სირთულე.

სამუშაო ჯგუფმა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავზე დაყრდნობით, განცხადებებით მიმართა რაიონულ სასამართლოებს და მოითხოვა ყველა იმ საქმის მასალები, სარჩელები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც დაკავშირებულია საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ დავებთან. სამწუხაროდ სასამართლოები ხშირად თავს არიდებდნენ ასეთი ინფორმაციის გაცემას და მიზეზად სხვადასხვა გარემოებებს ასახელებდნენ. მაგალითად: მთანმინდაკრწანისისა და ისანი-სამგორის სასამართლოებმა საქმეების მოწოდებაზე უარი იმ მოტივით განაცხადეს, რომ გამოთხოვილი საქმეები პერსონალურ მონაცემებს წარმოადგენდა და მათ მისაღებად სათანადო პირების სანოტარო წესით დამონშებული თანხმობა იყო საჭირო. ეს მაშინ, როდესაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის "ზ" პუნქტის თანახმად, გასასაიდუმლოებლად დაუშვებელი ინფორმაციის კატეგორიას განეკუთვნება "სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომლებშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს".

2. სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის არასაკმარისი დასაბუთება, რაც საშუალებას არ იძლევა სრულად გაირკვეს მოთხოვნაზე უარის ან მისი დაკმაყოფილების მიზეზები;

**3. საქმისწარმოების მაქსიმალურად განვლილი დრო, ვინაიდან გამოთხოვილ საქმეთა უმრავლესობაზე გადანყვეტილება ჯერ კიდევ არ არის მიღებული.**

**4. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებული საქმეების სიმცირე, რაც, თავის მხრივ, ართულებდა პრაქტიკის სრულფასოვან გაანალიზებას;**

## **V. სტატისტიკა**

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში განხილული საქმეების სტატისტიკა ასე გამოიყურება<sup>3</sup> (იხ.დანართი 1):

- ა) ჩვენ მიერ მოპოვებული მონაცემების მიხედვით, ოთხი წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ დავებზე სასამართლოს 38 სარჩელით მიმართეს;**
- ბ) 16 შემთხვევაში მოსარჩელე იურიდიული პირია (არასამთავრობო ორგანიზაცია), ხოლო 21 შემთხვევაში – ფიზიკური პირი;**
- გ) პირველი ასეთი სარჩელი შეტანილ იქნა 2001 წლის 24 ივლისს (მოსარჩელე ვ. კომახიძე გენერალური პროკურატურის წინააღმდეგ), ხოლო პირველი გადანყვეტილება გამოტანილ იქნა 2002 წლის 19 მარტს;**
- დ) 13 საქმეზე სასამართლოს გადანყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, რომელთაგან 6 საქმეზე ძალაში შევიდა რაიონული სასამართლოს გადანყვეტილება, 0 საქმეზე სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება, ხოლო 7 საქმეზე მიღებულ იქნა უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილება;**
- ე) იმ საქმეთა შორის, რომლებზეც გადანყვეტილება ძალაში არ შესულა, 15 საქმეზე მიღებულია მხოლოდ რაიონული სასამართლოს გადანყვეტილება, 1 საქმეზე სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება. 1 საქმეზე რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვამდე მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, ხოლო 2 საქმე განხილვის გარეშეა დატოვებული;**

<sup>3</sup> მოცემულ სტატისტიკას არ აქვს სრულყოფილების პრეტენზია, ვინაიდან შესაძლებელია არსებობდეს საქმეები, რომლებიც ან არ მოგვანოდეს, ან მოგვანოდეს არასრულად, ამიტომ ტექსტში დამკვეთული შესაძლო უზუსტობები ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით არის განპირობებული.

- ვ) 13 საქმიდან, რომლებზეც გადანყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა, 9 მოსარჩელის სასარგებლოდ გადანყდა, 4 შემთხვევაში კი მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა;
- ზ) 16 საქმიდან, რომლებზეც გადანყვეტილება ძალაში არ შესულა, 10 მოსარჩელების სასარგებლოდ დამთავრდა;
- თ) ყველაზე დიდხანს გაგრძელებული საქმე, რომელზეც გადანყვეტილება ძალაში შევიდა, 18 თვეს მიმდინარეობდა (№13);
- ი) ყველაზე დიდხანს გაგრძელებული საქმე რაიონულ ინსტანციაში – 10 თვე და 24 დღე (№14); სააპელაციო ინსტანციაში – 13 თვე და 3 დღე (№11);
- კ) ყველაზე სწრაფად მიღებული გადანყვეტილება, რომელიც ძალაში შევიდა, – 1 თვე და 25 დღე (№7);
- ლ) ყველაზე სწრაფად მიღებული გადანყვეტილება რაიონულ ინსტანციაში – 20 დღე (№17); სააპელაციო ინსტანციაში – 5 თვე (№23); საკასაციო ინსტანციაში – 9 თვე და 20 დღე (№18);
- მ) 6 საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადანყვეტილების მიღებას 5 თვეზე მეტი დასჭირდა; ხოლო 9 თვეზე მეტი – სარჩელის შეტანიდან საკასაციო ინსტანციის გადანყვეტილების მიღებამდე – 7 საქმეს.

რაც შეეხება სადავო ინფორმაციის შინაარსს, იგი მეტად მრავალფეროვანია და შეუძლებელია ინფორმაციის რაიმე კატეგორიის გამოყოფა, რომლის მოთხოვნითაც სასამართლოს ყველაზე ხშირად მიმართავდნენ. იგივე შეიძლება ითქვას იმ საჯარო დაწესებულებების თაობაზეც, რომელთა წინააღმდეგაც სარჩელები იქნა აღძრული – მათი სპექტრი საკმაოდ ფართოა და ამ მხრივ რაიმე ტენდენცია არ იკვეთება. ასევე ძნელია იმ ადმინისტრაციული ორგანოს გამოყოფა, რომელიც ყველაზე ხშირად წარმოადგენდა მოპასუხე მხარეს ინფორმაციასთან დაკავშირებულ დავებზე.

## **VI. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებული საქმეების სასამართლოში განხილვის ვადები**

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პრობლემატური საკითხი, რომელიც სასამართლო პრაქტიკის შესწავლისას გან-

საკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, არის საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული **დავების სასამართლოში განხილვის ვადები**.

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსი არაფერს ამბობს სასამართლოში საქმის განხილვის ვადების შესახებ. მის მუხლში ნათქვამია: **”თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი”**. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული საქმეების განხილვის ვადების მიმართ მოქმედებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, **”...საქმეებს სასამართლოები განიხილავენ განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს ორი თვისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე, განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს ხუთი თვისა...”**

უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში ეს ვადები ძალიან იშვიათად არის დაცული და ხშირად ხდება მათი იგნორირება და გაჭიანურება.

მაგალითად, საქმეზე – ”ვ.კ. საქართველოს გენერალური პროკურატურის წინააღმდეგ“, რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო 8 თვისა და 8 დღის შემდეგ (24.07.2001-1.04.2002), ეს მხოლოდ პირველ ინსტანციაში. ადვილი წარმოსადგენია, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა აღნიშნული საქმე, იგი ზედა ინსტანციაშიც რომ გასაჩივრებულიყო. საქმეზე – ”პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისათვის“ ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის წინააღმდეგ“, რაიონული ინსტანციის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სარჩელის შეტანიდან 10 თვისა და 24 დღის შემდეგ (04.03.2002-24.01.2003).

არის საქმეები, რომლებმაც სამივე ინსტანცია გაიარეს და სარჩელის შეტანიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე წელიწადი ან მეტი დროც გავიდა. მაგალითად, საქმეზე – ”ალია“ საქართველოს გენერალური პროკურატურის წინააღმდეგ“, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა თითქმის ათი თვის შემდეგ (14.02.2003-3.12.2003); საქმეზე – ”მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირი“ სოლიდარობა“

ქუთაისის №13 საშუალო სკოლის დირექტორის წინააღმდეგ“, საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო ზუსტად ერთი წლის თავზე (16.10.2002-16.10.2003).

უმრავლეს შემთხვევაში, საჯარო ინფორმაცია დაინტერესებულ პირისთვის ღირებულია დროის გარკვეულ, მცირე მონაკვეთში. სწორედ ეს გახდა კოდექსის მიერ ინფორმაციის გაცემისთვის ასეთი მცირე ვადების დადგენის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი. თუ პირმა მცირე დროში ვერ მიიღო მისთვის საჭირო ინფორმაცია, ის მისთვის ან აზრს კარგავს ან მცირდება დაგვიანებული ინფორმაციის ღირებულება. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც გამოთხოვილი ინფორმაცია ცალსახად ღია საჯარო ინფორმაციის კატეგორიას მიეკუთვნება და, სამართლებრივი თვალსაზრისით, მისი ღიაობის საკითხი დავას არ იწვევს, ხშირ შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება მის გაცემაზე მაინც უარს აცხადებს ან საერთოდ უპასუხოდ ტოვებს მოთხოვნას. თუ ასეთ დროს განმცხადებელი სასამართლოში სარჩელს შეიტანს, როგორც წესი, საჯარო დაწესებულება ან სცნობს სარჩელს, ან სჯერდება პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, რადგანაც მისთვის ნათელი ხდება, რომ დავის გაგრძელებას აზრი არა აქვს. ასეთ შემთხვევებში დაინტერესებული პირი, „გამარჯვების“ მიუხედავად, მაინც წაგებულია, ვინაიდან იგი ორი-სამი თვით დაგვიანებულ ინფორმაციას იღებს. ამიტომაც ხშირია შემთხვევები, როდესაც დაინტერესებული მხარე, მართალია, დარწმუნებულია, რომ სასამართლო დააკმაყოფილებს მის მოთხოვნას, მაგრამ მაინც თავს არიდებს სარჩელის შეტანას, რადგან იცის, რომ სასურველი შედეგის დადგომამდე რამდენიმე თვე, ან შესაძლოა, მთელი წელიც გავიდეს. ამ დროის შემდეგ კი მისთვის აღნიშნულ ინფორმაციას არანაირი ღირებულება ექნება.

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სასამართლოში აღძრული სარჩელების სიმცირის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს სწორედ საქმის განხილვის გაჭიანურებული ვადები წარმოადგენს.**

## VII. მტკიცების ტვირთი

უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელზეც სასამართლო პრაქტიკის ანალიზისას უნდა გავამახვილოთ ყურადღება, არის მტკიცების ტვირთი.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლით დადგენილია:

**”1. მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი შესაგებელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.**

**2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციული აქტი“.**

ის, რომ საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ადმინისტრაციულ აქტს წარმოადგენს, პრაქტიკაში დავას არ იწვევს. გარდა ამისა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლის თანახმად:

**”პირს აქვს უფლება საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოხელის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, აგრეთვე, მოთხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში ... მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხე საჯარო დაწესებულებას ან საჯარო მოსამსახურეს“.**

საქმეზე – ”ლ.ს. ქ. თბილისის მერიისა და ქონების მართვის სამმართველოს წინააღმდეგ“, სასამართლომ დაადგინა:

**”ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-17 მუხლის I პუნქტის შესაბამისად, მოსარჩელე ვალდებული იყო დაესაბუთებინა, რომ მოპასუხეებს ნამდვილად გააჩნიათ მისთვის საჭირო ინფორმაცია, მაგრამ არ გასცეს. უნდა წარმოედგინა სასამართლოსათვის სარჩელის**

**საფუძვლიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რაც ასევე ვერ მოახერხა. მოპასუხეთა განმარტებით კი, მათ მოთხოვნილი ინფორმაცია არ გააჩნიათ, რის გამოც ვერც გასცემენ“.**

ამ გადაწყვეტილების მიხედვით, სასამართლომ მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს დააკისრა, ანუ მან იხელმძღვანელა მე-17 მუხლის | ნაწილით. ეს გამონვეული იყო იმით, რომ მოსარჩელეს არ დაუყენებია ადმინისტრაციული აქტის ბათილობის ან ძალადაკარგულად ცნობის საკითხი (**ამ საქმეზე პრობლემა ისა არის, რომ ჩვენ ხელთ არსებული მასალებიდან გაურკვეველია, გამოცემული იყო თუ არა ადმინისტრაციული აქტი საერთოდ და, შესაბამისად, შეეძლო თუ არა მოსარჩელეს მოეთხოვა მისი ბათილობა**). შესაბამისად, სასამართლო ვერ დაეყრდნობოდა მე-17 მუხლის | ნაწილს და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლს. მიუხედავად ამისა, ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ მე-17 მუხლის | ნაწილი ორივე მხარეს მტკიცების ტვირთს თანაბრად აკისრებს. სასამართლომ კი, როგორც გადაწყვეტილებიდან ჩანს, ძირითადად, მოსარჩელეს დააკისრა დაესაბუთებინა, რომ მოპასუხეს აქვს მოთხოვნილი ინფორმაცია და წარმოედგინა სარჩელის საფუძვლიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებანი. ხოლო მოპასუხეს, როგორც ჩანს, მხოლოდ ერთი განმარტებით ენდო, რომ მას მოთხოვნილი ინფორმაცია არ გააჩნია. ყოველ შემთხვევაში, გადაწყვეტილებიდან არ ჩანს, რომ მას რაიმე მტკიცებულებების წარმოდგენა მოსთხოვეს, რაც, 17-ე მუხლის | ნაწილის თანახმად, არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს.

ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში იბადება ლოგიკური კითხვა – რაზე დაყრდნობით და როგორ უნდა ამტკიცოს საჯარო დაწესებულებამ, რომ მას არ გააჩნია მოთხოვნილი ინფორმაცია?

საქმეზე – ”თ.გ. უშიშროების სამინისტროს წინააღმდეგ“, სასამართლომ დაადგინა:

**” ... მოსარჩელე თ.გ-სთან მიმართებაში დანაშაულის არარსებობისას, ოპერატიულად შეკრებილი მასალების განადგურებისას არაა დაცული ”ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები, კერძოდ: ამის შესახებ შეტყობინება არ გაუგზავნიათ საქართველოს გენერალურ**

**პროკურორს ან მის მოადგილეს შესაბამის დარგში, რაც იძლევა საფუძველს ვარაუდისა, რომ იგი არაა განადგურებული. გარდა ამისა, მასალების განადგურების აქტში არაა ჩამოთვლილი ყველა ის დოკუმენტი, რომლის გაცნობასაც მოსარჩელე მოითხოვს, მოსარჩელე მხარის მიერ თბილისის საოლქო სასამართლოში მოპოვებული იქნა მათთვის საინტერესო დოკუმენტების განადგურების აქტი, რომლის მიხედვითაც არ ინახება საბუთები: 1; 2; 3; 4; 5“.**

ამ საქმეზე გადანყვეტილების მიღებისას სასამართლომ იხელმძღვანელა კანონით და იმ დოკუმენტით, რომელიც მოპასუხესთან იყო დაცული და სწორედ მათზე დაყრდნობით ჩათვალა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია უშიშროების სამინისტროში უნდა ყოფილიყო. ამიტომ სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის განცხადება, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია აღარ გააჩნდა, ვინაიდან იგი უკვე განადგურებული იყო.

მეორე საქმეზე – ”ვ.ს. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გლდანი-ნაძალადევის რაიონული ფილიალის წინააღმდეგ“, სასამართლომ სარჩელი საჯარო ინფორმაციის გაცემის ნაწილში ნაწილობრივ დააკმაყოფილა:

**”მოპასუხე მხარეს არ გააჩნია მოსარჩელის საპენსიო საქმე, მისი ასლების გადაცემა მოსარჩლისთვის შეუძლებელია, ხოლო რაც შეეხება მოსარჩლისთვის სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ დებულების ასლების მოსარჩლისთვის გადაცემას, მიმაჩნია, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს აღნიშნული კანონმდებლობის შესაბამისად“.**

მოცემული სასამართლო გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან არ ჩანს, თუ რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით ირწმუნა სასამართლომ მოპასუხის განცხადება, რომ მას არ გააჩნია მოსარჩელის საპენსიო საქმე. ძნელი სათქმელია, ამ ორი გადანყვეტილებიდან რომელი უფრო მისაღებია – პირველი, რომელშიც სასამართლომ, კანონიდან გამომდინარე, გადანყვიტა საქმე, თუ მეორე, რომელშიც საკმარისად მიიჩნია მხოლოდ მოპასუხის ნათქვამი, რომ მათ არ გააჩნიათ ინფორმაცია. ალბათ საბოლოოდ არც ერთს არ შეიძლება სრულყოფილების პრეტენზია ქონდეს. მართალია, მოსამართლე წარმოდგენილ მტ-

კიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით აფასებს, მაგრამ, ამავე დროს, მას ევალება მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება ვ.ს საქმეზე დასაბუთებულად ვერ ჩაითვლება. იგივე შეეხება ლ.ს. საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებასაც, ვინაიდან დავის საგანი ბოლომდე ბუნდოვანი დარჩა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლომ უფრო დამაჯერებელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა განსაჯოს, აქვს თუ არა საჯარო დაწესებულებას მოთხოვნილი ინფორმაცია და არ უნდა მიიჩნიოს დამაკმაყოფილებლად მოპასუხის მხოლოდ ერთი სიტყვა – ”არ მაქვს“. მართებული იქნებოდა, სასამართლოს გადაწყვეტილებაში მიეთითებინა, თუ რა მტკიცებულებებით იხელმძღვანელა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, უფრო მისაღებია გადაწყვეტილება საქმეზე – ”თ.გ. უშიშროების სამინისტროს წინააღმდეგ“. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება გაცილებით დასაბუთებულია. ამავე დროს, ამ გადაწყვეტილებით დადგენილია მიდგომა, რომ მოპასუხემ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის არარსებობა უნდა ამტკიცოს იმ კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც არეგულირებს მის ფუნქციებსა და ვალდებულებებს, ასევე, მასთან არსებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით. თუმცა ეს საქმე საკმაოდ სპეციფიკურია და განზოგადებისათვის არ გამოდგება.

ამასთანავე, თ.გ. საქმიდან გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ: უშიშროების სამინისტრომ სააპელაციო ინსტანციაში აღიარა, რომ მან მოთხოვნილი ინფორმაცია კანონის დარღვევით გაანადგურა. უშიშროების სამინისტროს არგუმენტაციით: ” ... **აღნიშნული ნორმის საფუძველზე, ინფორმაცია თ.გ. თაობაზე განადგურდა შესაბამისი აქტივით (თუმცა, არა დაუყოვნებლივ, არამედ 5 თვის გასვლის შემდეგ, ასევე, დაგვიანებით ეცნობა პროკურატურას)**“. საინტერესოა, ასეთ შემთხვევაში, ანუ მაშინ, როცა მოპასუხე ამტკიცებს, რომ მას მოთხოვნილი ინფორმაცია, მართალია, კანონის დარღვევით, მაგრამ მაინც არ გააჩნია, რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ? სამწუხაროდ, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ამ კითხვას პასუხი არ გაეცა. სააპელაციო სასამართლოს საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხზე საერთოდ არ უმსჯელია. მიუხედავად ამისა, თავს უფლებას მივცემთ, ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენი მოსაზრება გამოვთქვათ: თუ კანონის თანახმად მოპასუხეს უნდა ჰქონდეს მოთხოვნილი ინფორმაცია, მაგრამ სასამართლოში წარმოადგენს სათანადო

მტკიცებულებებს, რომ მას ეს ინფორმაცია არ გააჩნია, ვფიქრობთ, სასამართლომ არ უნდა დააკისროს მას ინფორმაციის გაცემა. ვინაიდან საჯარო ინფორმაცია, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "მ" პუნქტის თანახმად, არის სწორედ საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაცია. ამასთან, იმ ინფორმაციის გაცემის დაკისრება, რომელიც საჯარო დაწესებულებაში მაინც არ არსებობს, აზრს მოკლებულია – მას მოსარჩელე მაინც ვერ მიიღებს. თუმცა, აუცილებელია სასამართლომ რეაგირება მოახდინოს თავად ინფორმაციის არარსებობის ფაქტზე, დაადგინოს მიზეზები და **კანონის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი მსვლელობა მისცეს საქმეს; ამასთან, ასეთ შემთხვევაში აუცილებლად უნდა მოხდეს კანონის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება.**

### **პირითადი პრობლემები**

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელ ქართულ კანონმდებლობაში არის მთელი რიგი ნორმები, რომლებიც პრაქტიკაში არაერთგვაროვნად იქნა გაგებული როგორც საზოგადოების, ასევე საჯარო დაწესებულებების მიერ. ამან, თავის მხრივ, უამრავი პრობლემა წარმოშვა. ამ არაერთგვაროვნების ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ საქართველოში "ინფორმაციის თავისუფლების" ტრადიცია არ არსებობს და კონსტიტუციის ზოგადი ნორმების შემდეგ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ინფორმაციის თავისუფლების ნორმატიული მოწესრიგების პირველი მცდელობაა. შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ასეთი ბუნდოვანი ნორმების სასამართლო განმარტებას, რაც აუცილებელია მათი პრაქტიკაში დანერგვისათვის.

სამწუხაროდ, რამდენიმე შემთხვევაში სასამართლო პრაქტიკაც არ იყო ერთგვაროვანი და სხვადასხვა გადაწყვეტილებაში ერთი და იგივე მუხლი განსხვავებულად განიმარტა. ამასთანავე, ბევრ პრობლემატურ საკითხზე პრაქტიკა ჯერ არ შექმნილა და კითხვები, რომლებზეც პასუხი სასამართლო პრაქტიკას უნდა გაეცა, კვლავ ღიად რჩება.

ოთხი წლის განმავლობაში სასამართლოს მიერ განხილული საქმეებიდან შეიძლება რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოვყოთ:

1. რა არის საჯარო ინფორმაცია;
2. ვისზე და რა ფარგლებში ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავი;
3. პერსონალური მონაცემები და პირადი საიდუმლოება;
4. კომერციული საიდუმლოება;
5. მტკიცების ტვირთი;
6. პროცესის ხარჯები და ინფორმაციის გაუცემლობით გამონვეული ზიანის ანაზღაურება.

### VIII. რა არის საჯარო ინფორმაცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "მ" პუნქტი "საჯარო ინფორმაციას" შემდეგნაირად განმარტავს:

"საჯარო ინფორმაცია არის **ოფიციალური დოკუმენტი** (მათ შორის ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები), ანუ **საჯარო დაწესებულებაში დაცული**, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით

**მიღებული,**

**დამუშავებული,**

**შექმნილი ან**

**გაგზავნილი ინფორმაცია".**

მიუხედავად "საჯარო ინფორმაციის" აღნიშნული, ჩვენი აზრით, ყოვლისმომცველი განმარტებისა, პრაქტიკაში კვლავაც სადავოა, თუ რა არის საჯარო ინფორმაცია.

#### მაგალითად:

დაინტერესებული პირი ითხოვს არა ერთ ან რამდენიმე კონკრეტულ დოკუმენტს ან ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს ერთი რომელიმე კონკრეტული დოკუმენტი, არამედ ისეთ ინფორმაციას და მონაცემებს, რომლებიც გაბნეულია დიდი რაოდენო-

ბისა და მოცულობის სხვადასხვა დოკუმენტში. როგორ უნდა მოიქცეს საჯარო დაწესებულება ასეთ შემთხვევაში? ამ კითხვაზე არაერთგვაროვანი პასუხი აქვთ როგორც საჯარო დაწესებულებებს, ისე პრაქტიკოს იურისტებს. კერძოდ, ხშირად გაიგონებთ შემდეგი სახის მოსაზრებებს:

**ა)** საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაამუშავოს მის ხელთ არსებული დოკუმენტები, ამოიღოს მათგან საჭირო მონაცემები და "გამზადებული მიაღწევას" განმცხადებელს;

**ბ)** უნდა გასცეს ყველა იმ დოკუმენტის ასლი, რომელშიც გაბნეულია გამოთხოვილი ინფორმაცია;

**გ)** განმცხადებელს ინფორმაციის გაცემაზე უარი უნდა უთხრას იმ მოტივით, რომ ასეთი ინფორმაცია ან/და ასეთი ინფორმაციის შემცველი კონკრეტული დოკუმენტი არ არსებობს.

საქმეზე – "არასამთავრობო ორგანიზაცია" დემოკრატი მესხთა კავშირი" ახალციხის რაიონული სახელმწიფო არქივის წინააღმდეგ", მოსარჩელემ მოითხოვა: "ახალციხის რაიონის ცენტრალურ არქივს დავალებოდა მის მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის გაცემა. კერძოდ "ახალციხის რაიონის დემოგრაფიული მდგომარეობა 1944 წლის მდგომარეობით, სასოფლო საბჭოებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდება, ინფორმაცია მასში მცხოვრებ კომლთა და სულთა რაოდენობის, მათი ეთნიკური და ეროვნული შემადგენლობის შესახებ".

რაიონულმა სასამართლომ განმარტა:

**"მოსარჩელის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია, ეს არის შესაქმნელი ინფორმაცია, ეს არ არის მზა და დამუშავებული ინფორმაცია, რომელიც უკვე დევს და შესაძლებელია მისი ასლის გადაღება და მიწოდება დაინტერესებული მხარისათვის. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომში ზაკი) თანახმად, გაცემას ექვემდებარება საჯარო ინფორმაცია, ხოლო მოსარჩელის მიერ მოთხოვილი ინფორმაცია, არის შესაქმნელი ინფორმაცია, არქივის საქმიანობაში არ შედის საბჭოების მიხედვით კომლთა და სულთა რაოდენობის, ეთნიკური და ეროვნული შემადგენლობით დაჯგუფება. იგი მხოლოდ აგროვებს და ინახავს შემოსულ ინფორმაციას. მოსარჩელის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია არაკონკრეტულია. იგი ვერ გა-**

## იცემა დედნიდან ქსეროასლის სახით, რადგან ფიზიკურად არქივში ასეთი . . . არ არსებობს”.<sup>4</sup>

სასამართლომ საჯარო ინფორმაციად მიიჩნია მხოლოდ ისეთი ინფორმაცია, რომელიც კონკრეტული დოკუმენტის (ან დოკუმენტების) სახით არსებობს. მოცემულ შემთხვევაში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის საფუძველი გახდა სწორედ ის, რომ არქივში არ არსებობდა კონკრეტული დოკუმენტი, რომელიც შეეხებოდა უშუალოდ ახალციხის რაიონის დემოგრაფიულ მდგომარეობას, სასოფლო საბჭოებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებას, კომლთა და სულთა რაოდენობასა და ა.შ. ის ფაქტი, რომ გამოთხოვილ ინფორმაციას შეიცავს ზოგადად არქივში დაცული დოკუმენტები, სარჩელის დაკმაყოფილებისთვის საკმარისი არგუმენტი არ აღმოჩნდა.

ვფიქრობთ, სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილება მეტწილად ნაკარნახევა იმ ტექნიკური ხასიათის პრობლემებით, რომელთა წინაშეც არქივი აღმოჩნდებოდა, ინფორმაციის გაცემა რომ დაკისრებოდა. თუმცა, ასეთი მიდგომა არ გამომდინარეობს კანონის მოთხოვნებიდან. მართალია, აღნიშნული ინფორმაცია კონკრეტული დოკუმენტის სახით არ არსებობს, მაგრამ მოპასუხე არ უარყოფს, რომ ასეთ ინფორმაციას შეიცავს არქივში დაცული დოკუმენტები, ანუ ინფორმაცია, რომელსაც ”კავშირი ითხოვდა“, არქივში არსებობს. სხვა საკითხია, რამდენად დიდი მოცულობისაა ან რამდენად შესაძლებელია მისი გამოცალკეება და რა სირთულეებთან არის დაკავშირებული მისი ასლების გაცემა. კანონი საჯარო ინფორმაციად მიიჩნევს ყველა დოკუმენტს (ინფორმაციას), რომელიც საჯარო დაწესებულებაში არსებობს, მისი შენახვის ფორმის მიუხედავად, და რაიმე დიფერენცირებას არ ახდენს მისი მოცულობის, მოძიების სირთულის ან გაცემასთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემების მიხედვით. თუ არ ჩავთვლით განსაკუთრებით დიდი მოცულობის ინფორმაციის გაცემისთვის 10-დღიანი ვადის დაწესებას.

ვფიქრობთ, უარი ინფორმაციის გაცემაზე იმ მოტივით, რომ იგი კონკრეტული დოკუმენტის (ან დოკუმენტების) სახით არ არსებობს და გაბნეულია ძალიან დიდი მოცულობისა თუ რაოდენობის დოკუმენტებში, არასწორია. ასეთ შემთხვევაში,

<sup>4</sup> საქმე ”არასამთავრობო ორგანიზაცია ”დემოკრატი მესხთა კავშირი“ ახალციხის რაიონული სახელმწიფო არქივის წინააღმდეგ.“

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაინტერესებულ პირს გადასცეს ყველა ის დოკუმენტი (ასლი), რომელშიც გაბნეულია მისთვის საინტერესო ინფორმაცია.

ჩვენი აზრით, კანონი ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა და ინფორმაციის გაცემაზე უარის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

### **სასამართლოში არსებული საქმის მასალების საჯარო ინფორმაციად მიჩნევა**

საქმეზე – ”თ.გ. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს წინააღმდეგ”, სადაც მოსარჩელემ მოითხოვა სასამართლოს დავალებოდა მის წარმოებაში არსებული სამოქალაქო საქმის მასალების გაცნობა, რაიონულმა სასამართლომ განმარტა:

**”საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1 ნაწილის ”მ” პუნქტის საფუძველზე საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს ”ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია”. როგორც კანონმდებლობაში მიეთითება ჩამოთვლილი ინფორმაციების კატეგორიებს არ მიეკუთვნება სასამართლოში არსებული საქმის მასალები, აქედან გამომდინარე, სასამართლო ვერ განიხილავს მათ ყველასათვის, გარდა პროცესის მონაწილეებისა, ხელმისაწვდომ მასალებად”.**

საინტერესოა იგივე საქმეზე უზენაესი სასამართლოს მოტივაცია:

**“საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს არა ყველა მონაცემი, არამედ ისეთი, რომელიც მიღებულია საჯარო დაწესებულების მიერ. სასამართლო ხელისუფლება მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, მართლმსაჯულების განხორციელებისას იღებს სასამართლო აქტებს გადანყვეტილების ან განჩინების სახით, რომელთა ხელმისაწვდომობა დაინტერესე-**

**ბული პირისათვის უზრუნველყოფილია კოდექსის III თავის დებულებათა საფუძველზე, რომლის რეალიზაცია უზრუნველყოფილია სასამართლო გადაწყვეტილებათა გამოქვეყნებით.”**

ტერმინის – **“მიღებულია”** ამგვარი განმარტება საკმაოდ უჩვეულო და არაორდინალურია და ბევრ კითხვას წარმოშობს. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ არ ვიზიარებთ სასამართლოს ამგვარ გადაწყვეტილებას, ვინაიდან **“მიღებული”** ისევე, როგორც იმავე მუხლში გამოყენებული ტერმინი **“გაგზავნილი”** ჩვეულებრივი ლიტერატურული სიტყვებია და არაფერი აქვთ საერთო სამართლებრივ ტერმინოლოგიასთან, რომელიც გადაწყვეტილებების მიღებას უკავშირდება.

### **IX. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის მოქმედების სფერო**

ჩვენ მიერ მომზადებულ საქმეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დავას კოდექსის გავრცელების ფარგლებსა და სუბიექტებზე. კერძოდ, ძალზე საინტერესო სასამართლო პრაქტიკა ჩამოყალიბდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: საჯარო დაწესებულებები და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის მოქმედების ფარგლები.

მიუხედავად იმისა, რომ კოდექსმა აღნიშნულ საკითხს სპეციალური მუხლი<sup>5</sup> მიუძღვნა, პრაქტიკაში ხშირად ხდება სადავო, თუ

<sup>5</sup> მუხლი 3. კოდექსის მოქმედების სფერო

“1. ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების და დაწესებულებების, აგრეთვე, იმ პირების საქმიანობაზე, რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად ითვლებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად;

2. ამ კოდექსის მოქმედება, გარდა III თავისა, არ ვრცელდება შემდეგი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე:

ა) საქართველოს პარლამენტი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები;

ბ) საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო;

გ) საქართველოს სახალხო დამცველი;

დ) საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოები.

3. ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული ორგანოებისა და ამ ორგანოთა თანამდებობის პირების იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან;

4. ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია:

რამდენად ეხება მისი მოქმედება ისეთ დანესებულებებს, როგორებიცაა:

- სასამართლო,
- პროკურატურა,
- უშიშროების საბჭო.

### ა) III თავის გავრცელება სასამართლო ორგანოებსა და საქმის მასალებზე

საქმეზე – "თ.გ. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს წინააღმდეგ", სადაც მოსარჩელე ითხოვდა სასამართლოში არსებული სამოქალაქო საქმის მასალების ასლების გადაცემას, სააპელაციო სასამართლომ განმარტა:

**"ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის, რომელიც ადგენს ამ კოდექსის მოქმედების სფეროს, პირველი პუნქტით, კოდექსის მოქმედების გავრცელება განსაზღვრულია სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისა და დანესებულებების, აგრეთვე, იმ პირების საქმიანობაზე, რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად, ითვლებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად, მითითებული ნორმა ზოგადი ხასიათისაა. ნორმის მომდევნო პუნქტებში კანონმდებელი აკეთებს დათქმას, რომლის მიხედვით, კოდექსის მოქმედების არეალი დიფერენცირებულია მთელი რიგი სახელმწიფო ორგანოების გარკვეულ საქმიანობებზე. კერძოდ, მე-2 პუნქტის მიხედვით, კოდექსის მხოლოდ მესამე თავი ვრცელდე-**

- 
- ა) დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლის სამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან;
  - ბ) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან;
  - გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან;
  - დ) სამხედრო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებასთან, აგრეთვე, სამხედრო დისციპლინის საკითხებთან, თუ ეს არ ეხება პირის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს;
  - ე) საქართველოს პრეზიდენტის მიერ პირთა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშვნისა და გათავისუფლების, აგრეთვე, საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა", "დ", "ე", "ზ", "თ", "ო" ქვეპუნქტებით, ასევე, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელებასთან;
  - ვ) საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესრულებასა და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან".

ბა რიგ სახელმწიფო ორგანოებზე, მათ შორის, სასამართლო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაზე.

კოდექსის 3.3 მუხლით დადგენილია, რომ ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება 3.2 მუხლში მითითებული ორგანოების და ამ ორგანოთა თანამდებობის პირების იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ, ვინაიდან კოდექსის 3.2 მუხლის მიხედვით, ზაკ-ის მოქმედების სფერო ამავდროულად მითითებულ სახელმწიფო ორგანოებზე შემოფარგლულია III თავით, კოდექსის 3.3 მუხლში მითითებული "ამ კოდექსის მოქმედება" გაგებული უნდა იქნეს, როგორც III თავის მოქმედება, ვინაიდან ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, 3.2 მუხლით იმპერატიულად არის დადგენილი, რომ მითითებულ სახელმწიფო ორგანოებზე მხოლოდ კოდექსის III თავი ვრცელდება, ხოლო 3.3 პუნქტში მოცემული დათქმა III თავის მოქმედების არეალს კიდევ უფრო ავიწროებს და იფარგლება მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ *სასამართლო ხელისუფლების ორგანოების მიმართ ვრცელდება ზაკ-ის III თავის მოქმედება იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან.*

რამდენადაც სასამართლო ხელისუფლების ორგანოები საქართველოს კონსტიტუციის, ორგანული კანონის "საერთო სასამართლოების შესახებ" და მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ ფუნქციას — მართლმსაჯულებას, რომლის ეფექტურად წარმართვისათვის, სასამართლო ხელისუფლების ორგანოს, როგორც სტრუქტურულ დანესებულებას, ესაჭიროება ორგანიზაციული ხასიათის საქმიანობის უზრუნველყოფა და სწორედ მოცემულ შემთხვევაში სასამართლო ორგანო ახორციელებს ადმინისტრაციულ ფუნქციას, რომლის თაობაზე ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის კოდექსის III თავის დებულებათა საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ სამართალწარმოების გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპით — საქვეყნოობით, რაც გამოიხატება სასამართლოს მიერ საქმის ღია სხდომაზე განხილვითა და სასამართლო აქტების საჯაროობით, ხოლო სასამართლოს განხილვაში მყოფი სამოქალაქო საქმის მასალები არ შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებულ პირთათვის. ვინაიდან სამოქალაქო დავა მიმდინარეობს კერძო სამართლის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის, განსხვავებით ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეებისაგან, სადაც დავის ერთ-ერთ სუბიექტს ყველა შემთხვევაში წარმოადგენს საჯარო დაწესებულება, რომლის მასალების ღიაობა დადგენილია ზაკ-ის 42-ე მუხლით, რომლითაც განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციათა კატეგორიის ნუსხა, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია და ყველასათვის ხელმისაწვდომია, მათ შორის ზ) პუნქტის მიხედვით, სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს.

ვინაიდან მოსარჩლისთვის საინტერესო სამოქალაქო საქმეში დავა მიმდინარეობს კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირს შორის, პროცესის მონაწილედ არ გვევლინება საჯარო დაწესებულება, აღნიშნული საქმე არ შედის კოდექსის 42 "ზ" მუხლით გათვალისწინებულ ხელმისაწვდომ საჯარო ინფორმაციათა ნუსხაში, რის გამოც არ არსებობს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი<sup>6</sup>.

იმავე საქმეზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომლითაც ძალაში დარჩა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, არაფერია ნათქვამი კოდექსის 3.2 და 3.3 მუხლებსა და სააპელაციო სასამართლოს განმარტებაზე. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უზენაესი სასამართლო, აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იზიარებს. აქვე უნდა ითქვას, რომ არსებობს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სხვა საქმეზე, სადაც ასევე ნათქვამია, რომ სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებებზე ვრცელდება ზაკ-ის III თავის მოქმედება, ოღონდ მხოლოდ იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან.

<sup>6</sup> საქმე – "თ.გ. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს წინააღმდეგ."

უზენაესი სასამართლო ყურადღებას ამახვილებს 42-ე მუხლის "ზ" პუნქტზე:

"სააპელაციო სასამართლომ სადავო საკითხის გადასაწყვეტად, სწორად გამოიყენა ზაკ-ის 42-ე მუხლის "ზ" ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, ხელმისაწვდომია სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დანებსებულება მხარეს წარმოადგენს. ვინაიდან თ.გ. ითხოვდა საქმის მასალების გაცნობას იმ სამოქალაქო საქმეზე, რომელშიც მხარეებს წარმოადგენდნენ კერძო სამართლის იურიდიული და ფიზიკური პირები, ამიტომ აღნიშნული საქმის მასალები არ შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო ხელმისაწვდომ ინფორმაციად".

სასამართლო პრაქტიკა საერთო სასამართლოებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით ერთგვაროვანია. სასამართლო ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ ინფორმაციის გამოთხოვისას, რომელიც შექმნილია (მიღებულია, გაგზავნილია და სხვ.) მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება სასამართლოში დაცულ საქმის მასალების ხელმისაწვდომობას, აქ პრაქტიკა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად – ხელმისაწვდომია სასამართლოს მასალები მხოლოდ იმ საქმეზე, რომელშიც ერთ-ერთ მხარედ მაინც გვევლინება საჯარო დანებსებულება.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების სასამართლოსეული განმარტება – "კოდექსის 3.3 მუხლში მითითებული" ამ კოდექსის მოქმედება" გაგებული უნდა იქნეს, როგორც III თავის მოქმედება" – ვფიქრობთ, საკამათოა. ასევე გვიჭირს დავეთანხმოთ სასამართლოს მოსაზრებას, რომ:

"ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, 3.2 მუხლით იმპერატიულად არის დადგენილი, რომ მითითებულ სახელმწიფო ორგანოებზე მხოლოდ კოდექსის III თავი

**ვრცელდება, ხოლო 3.3 პუნქტში მოცემული დათქმა III თავის მოქმედების არეალს კიდევ უფრო ავინროვებს და იფარგლება მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობით“.**

მიგვაჩნია, რომ კანონმდებლის ნება ცალსახაა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის ყველა საჯარო დაწესებულებაზე უპირობო გავრცელების შესახებ (მათ შორის, სასამართლო ხელისუფლებაზეც), რაც დადგენილია 3.2 მუხლით. ხოლო 3.3 მუხლით დადგენილია მთლიანად კოდექსის მოქმედება აღნიშნული ორგანოების იმ საქმიანობაზე, რომელიც ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან არის დაკავშირებული. ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებისას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის "ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის", "ადმინისტრაციული გარიგების", "ადმინისტრაციული წარმოების" თავების გამოყენება უშიშროების საბჭოს, სახალხო დამცველის, სასამართლოებისა თუ საკანონმდებლო ორგანოების მიერ არანაირ სამართლებრივ პრობლემას არ ქმნის, მეტიც, არ არსებობს სხვა რომელიმე სამართლებრივი აქტი, რომელიც ამ ორგანოებისათვის სპეციალურად დაადგენდა განსხვავებულ წესს ადმინისტრაციული აქტის გამოცემისა ან გამოქვეყნებისათვის. შესაბამისად, თუკი დავეყრდნობით სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებას, მთელი ადმინისტრაციული სამართალწარმოება სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება.

სასამართლო გადაწყვეტილებებში არაფერია ნათქვამი ადმინისტრაციული ფუნქციისა და ამ ფუნქციის განხორციელების ფარგლებში მიღებულ დოკუმენტებზე. საკითხი, თუ რა დოკუმენტები ჩაითვლება ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელების შედეგად მიღებულ დოკუმენტებად, ბუნებრივია, ყოველთვის გამოიწვევს აზრთა სხვადასხვაობას. არადა ამ ტერმინის სასამართლოსეული განმარტება ძალზე ბევრ პრობლემებს მოხსნიდა (განსაკუთრებით იმ დროს, როცა სასამართლოები შეთანხმდნენ მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელების საფუძველზე მიღებული დოკუმენტების განსაჯაროებაზე).

რაც შეეხება ზაკ-ის 42-ე მუხლის "ზ" პუნქტს, მართალია, აქ საუბარია მხოლოდ იმ საქმეების მასალების გასაიდუმლოების დაუშვებლობაზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა საქმეების

მასალები თავისთავად დახურულია. 42-ე მუხლში მოცემულია ისეთი ინფორმაციის ჩამონათვალი, რომლის მიმართაც არ ვრცელდება კოდექსით დადგენილი ზოგადი წესები "ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა" და "შეზღუდვების" შესახებ და ისინი უპირობოდ ითვლება ღია ინფორმაციად, თუნდაც გარკვეული წინააღმდეგობა არსებობდეს მათსა და კანონით დაცულ სხვა ინტერესებს შორის. იმ საქმეების მასალების მიმართ კი, სადაც საჯარო დაწესებულება მხარეს არ წარმოადგენს, რა თქმა უნდა, არ ვრცელდება "უპირობო ღიაობის" პრინციპი და მათზე III თავის ზოგადი წესებიდან გამომდინარე უნდა ვიმსჯელოთ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სამოქალაქო საქმეები ღია სხდომებზე განიხილება, სადაც ნებისმიერ პირს შეუძლია დასწრება და, შესაბამისად, ინფორმაციის მიღებაც. კერძოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის I პუნქტის თანახმად,

**"სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომაზე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესს. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია, აგრეთვე, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე",**

ანუ სხდომის დახურვას კანონმდებელი ითვალისწინებს ისე როგორც გამონაკლისს. ამდენად, ვფიქრობთ, საფუძველს მოკლებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის I და III პუნქტებისა და 42-ე მუხლის "ზ" პუნქტის ისეთი განმარტება, თითქოს მათ მიზანს წარმოადგენდეს სამოქალაქო საქმის მასალების უპირობო გასაიდუმლოება.

### **ბ) III თავის მოქმედების გავრცელება პროკურატურაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის გავრცელების საკითხი, განსაკუთრებით აქტუალურია პროკურატურასთან მიმართებაში, კერძოდ, მისი გამოყენება სისხლის სამართლის საქმეების მასალებთან მიმართებაში. ისევე, როგორც სასამართლოებთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაშიც ერთ-ერთ სადავო საკითხს წარმოადგენს ზაკის 3.2 და 3.3 მუხლების განმარტება და, შესაბამისად, კოდექსის სამოქმედო არეალის დადგენა.

საქმეზე - "გაზეთი "ალია" საქართველოს გენერალური პროკურატურის წინააღმდეგ", სადაც მოსარჩელე მოითხოვდა პროკურატურაში არსებული შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცემას, სააპელაციო სასამართლომ განმარტა:

**"მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი მასალები, ზაკ-ის მე-2 მუხლის "მ" პუნქტის მიხედვით, წარმოადგენს საჯარო დაწესებულებაში დაცულ საჯარო ინფორმაციას. ამავე კოდექსის 3.2 მუხლის მიხედვით, მოცემული კოდექსის მოქმედება ა) — დ) პუნქტებში ჩამოთვლილი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე შემოიფარგლება მე-3 თავით. რამდენადაც საქართველოს პროკურატურა არის სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება<sup>7</sup>, მის საქმიანობაზე კოდექსის 3.2 დ) პუნქტებიდან გამომდინარე, ვრცელდება III თავის — ინფორმაციის თავისუფლება — მოქმედება.**

ზაკ-ის 3.3 მუხლით დადგენილია, რომ ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება 3.2 მუხლში მითითებული ორგანოების და ამ ორგანოთა თანამდებობის პირების იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ, ვინაიდან კოდექსის 3.2 მუხლის მიხედვით, ზაკ-ის მოქმედების სფერო ამავე მუხლში მითითებულ სახელმწიფო ორგანოებზე შემოფარგულია III თავით, კოდექსის 3.3 მუხლში მითითებული "ამ კოდექსის მოქმედება" გაგებული უნდა იქნას, როგორც III თავის მოქმედება, რამდენადაც ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, 3.2 მუხლით იმპერატიულად არის დადგენილი, რომ მითითებულ სახელმწიფო ორგანოებზე მხოლოდ კოდექსის III თავი ვრცელდება, ხოლო 3.3 მუხლებში მოცემული დათქმა III თავის მოქმედების არეალს კიდევ უფრო ავინროვებს და იფარგლება მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობით. ამდენად, სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, მათ

<sup>7</sup> საქართველოს კონსტიტუციაში 2004 წლის იანვარში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად პროკურატურის სასამართლო ხელისუფლებიდან აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადასაცვლებამ შესაძლოა სასამართლო პრაქტიკის შეცვლა გამოიწვიოს უახლოეს მომავალში, თუმცა ამ კვლევის მიზნებისათვის ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს და სწორედ ამიტომ ვტოვებთ აღნიშნულ დებულებებს ნაშრომის ამ ვერსიაში.

შორის, პროკურატურის მიმართ, ვრცელდება კოდექსის III თავის მოქმედება იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში გენერალური პროკურატურა ახორციელებს სწორედ ადმინისტრაციულ ფუნქციას, რამდენადაც მ.ა-ის. სისხლის სამართლის საქმე წარმოებით შეწყვეტილია, რაც ნიშნავს, რომ ამ საქმეზე არ ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, საპროცესო მოქმედებები, რაც რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით და საქმე გადაცემული აქვს არქივს. მოცემულ ვითარებაში, საქართველოს გენერალური პროკურატურა სისხლის სამართლის საქმის, როგორც საარქივო დოკუმენტის, შენახვასა და დაცვას უზრუნველყოფს. აღნიშნული კი წარმოადგენს პროკურატურის არა კონსტიტუციურ და სპეციალური კანონების საფუძველზე მინიჭებულ ფუნქციებს, არამედ ადმინისტრაციულ ფუნქციას, რაც გამოიხატება სხვადასხვა სახის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში და მოქცეულია დაწესებულების ადმინისტრირების სფეროში.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ გენერალური პროკურატურის საქმიანობა მისივე არქივში დაცულ დოკუმენტებთან დაკავშირებით განეკუთვნება დაწესებულების ადმინისტრირების სფეროს, რის გამოც ამგვარი დოკუმენტები წარმოადგენს კოდექსის III თავით გათვალისწინებულ საჯარო ინფორმაციას და გენერალური პროკურატურის უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე კანონსაწინააღმდეგოა.

სააპელაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსაზრებას "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" კანონის ნორმათა გამოყენების თაობაზე, ვინაიდან მითითებული კანონის მე-12 მუხლში განსაზღვრულია ოპერატიული-სამძებრო ღონისძიების განმახორციელებელი ორგანოები. ასეთ ორგანოს პროკურატურა არ წარმოადგენს. კანონის 21.1 მუხლის მიხედვით დადგენილია საპროკურორო ზედამხედველობა ამგვარი ღონისძიებების განხორციელებისას კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე, აგრეთვე, ღონისძიებათა ჩატარების პროცესში გადანყვეტილებათა კანონიერებაზე გენერალური პროკურატურის და პროკურორების მიერ. მოცემული სისხლის სამართ-

ლის საქმე აღძრული და წარმოებით შეწყვეტილია პროკურატურის მიერ. მოპასუხემ ვერ დაასაბუთა, საქმეზე იყო თუ არა განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობები და რა დოზით შეიცავს ს.ს. საქმე ასეთი საქმიანობის ამსახველ მონაცემებს, დოკუმენტებს და წყაროებს, რისი გაცნობაც შეზღუდულია "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" კანონის 5.1 მუხლით".

სააპელაციო სასამართლოს პოზიციას იზიარებს უზენაესი სასამართლოც:

"საკასაციო პალატა ასევე ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის "ა-დ" ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე ამავე კოდექსის მოქმედება III თავით არის (ინფორმაციის თავისუფლება) შემოფარგლული. შესაბამისად, პროკურატურის, როგორც სასამართლო ხელისუფლების დანესებულების საქმიანობაზე, ზემოაღნიშნული კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, III თავის (ინფორმაციის თავისუფლება) მოქმედება ვრცელდება, რადგან მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებას და ამდენად, ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, გაზეთ "ალიასთვის" ინფორმაციის გაცემაზე უარი კანონსაწინააღმდეგოა".

ზემოთ განხილული საქმეების მსგავსად, სასამართლომ ამ შემთხვევაშიც განმარტა, რომ კოდექსის III თავის მოქმედება ვრცელდება პროკურატურის, როგორც სასამართლო ხელისუფლების დანესებულების, მხოლოდ იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან. აღნიშნული გადაწყვეტილება ჩვენს ყურადღებას იქცევს იმდენად, რამდენადაც იგი ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებაზე, მართალია, მხოლოდ პროკურატურასთან მიმართებაში, თუმცა, მაინც გვაძლევს პირველ განმარტებას. ვინაიდან სისხლის სამართლის საქმე შეწყვეტილი იყო და გადაცემული ჰქონდა არქივს, სასამართლომ მიიჩნია, რომ პროკურატურა მის მიმართ ახორციელებდა არა "კონსტიტუციური და სპეციალური კანონების საფუძველზე

მინიჭებულ ფუნქციას, არამედ ადმინისტრაციულ ფუნქციას“ და ამიტომ, ამ შემთხვევაში მასზე ვრცელდებოდა კოდექსის III თავი. სასამართლოს აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, *acontravio* შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სასამართლო არ გაავრცელებს III თავის მოქმედებას იმ საქმეების მიმართ, რომლებიც პროკურატურაშია, მაგრამ მათი წარმოება არ არის შეწყვეტილი და არქივს არ გადასცემია შესაძლებელია.

ვფიქრობთ, სასამართლოში არსებული საქმის მასალების ხელმისაწვდომობისათვის განმსაზღვრელი უნდა იყოს არა ის, საქმე გადაცემული აქვს თუ არა არქივს, არამედ თითოეული საქმის მასალის ხელმისაწვდომობის საკითხი უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, კონკრეტული დოკუმენტი კანონით დადგენილი წესით არის თუ არა მიჩნეული საიდუმლოდ და მიაყენებს თუ არა ზიანს მისი გამჟღავნება კანონით დაცულ ინტერესებს<sup>8</sup>.

### **გ) III თავის გავრცელება ეროვნული უშიშროების საბჭოზე**

სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ საინტერესოდ ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით.

საქმეზე – “საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ ეროვნული უშიშროების საბჭოს წინააღმდეგ“, მოსარჩელე ითხოვდა დოკუმენტის ასლს (“საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობის მონესრიგების გასატარებელ ღონისძიებათა გეგმა“), რომელიც მომზადდა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოში.

რაიონულმა სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა შემდეგი მოტივით:

**”საქართველოს ზაკ-ის მოთხოვნები არ ვრცელდება საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობაზე ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის ”დ“ ქვეპუნქტით (სამხედრო საკითხებზე გადანყვებილების მიღებასთან), ”ე“ ქვეპუნქტით (საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-4 ნაწილით პრეზიდენტი თავმჯდომარეობს ეროვნული უშიშროების**

<sup>8</sup> იხილეთ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემები ციკლიდან ყველაფერი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ: “ინფორმაციის თავისუფლება და ეროვნული უშიშროება, სად გავავლოთ ზღვარი” და “ინფორმაციის თავისუფლება და გამოძიების ინტერესები”, 2004 წელი, თბილისი.

საბჭოს სხდომებს) გათვალისწინებულ უფლებამოსილებასთან და "ვ" ქვეპუნქტით (საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან) გათვალისწინებული საფუძვლებით."

სააპელაციო სასამართლომ ამავე საქმეზე განმარტა:

"ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც ამ ნაწილშია ჩამოთვლილი. მათ შორისაა საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია სამხედრო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებასთან ("დ" ქვეპუნქტი) საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებასთან ("ე" ქვეპუნქტი), საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესრულებასთან და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან ("ვ" ქვეპუნქტი) საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის შესაბამისად, კანონი განსაზღვრავს პრეზიდენტის იმ საქმიანობას, რაც დაკავშირებულია ეროვნული უშიშროების საბჭოსთან, მათ შორის, მისი სხდომების თავმჯდომარეობასთან. კონსტიტუციის 99-ე მუხლის შესაბამისად, სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზებისთვის იქმნება ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს პრეზიდენტი. "ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ" კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საბჭო არის საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო სამხედრო აღმშენებლობისა და თავდაცვის ორგანიზაციის, ქვეყნის უშიშროებასთან დაკავშირებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სტაბილურობისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის სტრატეგიულ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მისაღებად. . . ამავე კოდექსის 28-ე მუხლის შესაბამისად საჯარო ინფორმაცია ღიაა გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმ-

ლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. პალატა თვლის, რომ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებს შორის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი სწორედ ზემოხსენებული მესამე მუხლის მეოთხე ნაწილში მითითებული გარემოებებია გათვალისწინებული.“

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ

”მართებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობაზე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის დებულებები უნდა გავრცელდეს. ხსენებული ნორმის შესაბამისად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება, მათ შორის, III თავი (ინფორმაციის თავისუფლება) არ ვრცელდება: საქართველოს პრეზიდენტის მიერ ეროვნული უშიშროების საბჭოში უფლებამოსილებათა განხორციელებასა (“ე“ პუნქტი) და საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესრულებასა და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზე (“ვ“ პუნქტი).“

საკასაციო სასამართლომ კასატორს დამატებით განუმარტა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის დებულებები და ჩათვალა, რომ

”მიუხედავად კონსტიტუციური ნორმების უზენაესობისა და უპირატესი იურიდიული ძალისა, მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად ეს მუხლიც ვერ გამოდგება. მოცემული მუხლის თანახმად, ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დანესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. როგორც ვხედავთ, ინფორმაციის თავისუფლების უპირობობას არც ეს მუხლი ადგენს და სახელმწიფო საიდუმლოების არსებობისას ინფორმაციის საჯაროობას კრძალავს.“

უზენაესი სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება ყურადღებას იქცევს ორი გარემოების გამო:

1. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოში სადავო დოკუმენტი წარდგენილი არ ყოფილა, უფრო მეტიც, მოპასუხე ასეთი დოკუმენტის არსებობას საერთოდ არ ადასტურებდა, სასამართლო კოლეგია მის შინაარსს არ გასცნობია და მისთვის მხოლოდ დოკუმენტის **სავარაუდო** სახელი იყო ცნობილი, საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ იგი **”საქართველოს საგარეო ურთიერთობისა და პოლიტიკის სფეროს შეეხება.”**

2. სასამართლოს არც ერთ ინსტანციას თავის გადანყვეტილებებში არ უმსჯელია დოკუმენტის სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებაზე, საქმის განხილვისას მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ეს საკითხი და ქვედა ინსტანციების სასამართლოების უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე გამონვეული იყო მხოლოდ იმ გარემოებით, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავი არ შეიძლებოდა უშიშროების საბჭოზე გავრცელებულიყო. მიუხედავად ამისა, ოსამართლემ კონსტიტუციის 41-ე მუხლის ციტირებისას მიუთითა რომ მიუხედავად მისი იმპერატიული ხასიათისა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების საჯაროობა და ღიაობა შეზღუდულია.

განხილული გადანყვეტილებებიდან ნათლად ჩანს, რომ სასამართლო პრაქტიკა ერთგვაროვნად ჩამოყალიბდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე ნაწილში ჩამოთვლილ საჯარო დაწესებულებებზე ინფორმაციის თავისუფლების თავის გავრცელებასთან დაკავშირებით.

**? სასამართლოში, პროკურატურასა და უშიშროების საბჭოში დაცული საჯარო ინფორმაცია მხოლოდ იმ შემთხვევაშია ხელმისაწვდომი, თუ დოკუმენტი დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან. ?**

საკითხის ამგვარი გადანყვეტა არამართებულად მიგვაჩნია შემდეგ გარემოებათა გამო: კონსტიტუციის 41-ე მუხლით დადგენილი გამჭვირვალობის მოთხოვნა ყველა საჯარო დაწესებულებაზე თანაბრად ვრცელდება, რაც ნიშნავს იმას, რომ კონსტიტუციისათვის მთავარია ესა თუ ის დოკუმენტი არ შეიცავდეს სახელმწიფო, პროფესიულ, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას, ნინაალმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი დოკუმენ-

ტი, რომელ დაწესებულებაშიც არ უნდა იყოს იგი დაცული, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს. ანუ, არც ერთი საჯარო დაწესებულება ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტებით არ შეიძლება შემოიფარგლოს.

**ლოგიკურად ისმის კითხვა:** იგულისხმება თუ არა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე მუხლში გამოყენებულ ტერმინში – **”ამ კოდექსის მოქმედება“**, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავი?

ამ კითხვაზე არსებობს ორი პასუხი:

**1.** თუ მე-3 მუხლის მე-4 ნაწილში მოცემულ ფრაზას – **”ამ კოდექსის მოქმედება“** მისი პირდაპირი მნიშვნელობიდან გამომდინარე განვმარტავთ, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ აქ მთელი კოდექსის მოქმედება იგულისხმება, მათ შორის III თავიც. მაგრამ ასეთი განმარტების ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ამ შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოვდივართ კონსტიტუციის 41-ე მუხლსა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დებულებებთან.

**2.** თუკი მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის განმარტებას განვიხილავთ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული დებულებებისა და კონსტიტუციის 41-ე მუხლთან ერთობლიობაში, კონსტიტუციის 41-ე მუხლით და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 და 28-ე მუხლებით დადგენილია ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ ისეთ საფუძვლებზე დაყრდნობით, როგორებიცაა: სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული ან პირადი საიდუმლოება. სხვა საფუძვლებით ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვას არც კონსტიტუცია და არც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავი არ უშვებს.

ჩვენი აზრით, უფრო სწორი და კონსტიტუციურია მეორე მოსაზრება. ვფიქრობთ, ტერმინი – **”ამ კოდექსის მოქმედება“**, არ მოიცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავს.

**!** ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნები ვრცელდება მე-3 მუხლის მე-4 ნაწილში ჩამოთვლილ საქმიანობებზეც, რაც სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ამ ნაწილში მოცემული საქმიანობები, მაგალითად: მინისტრებისა და კანონით განსაზღვრული სხვა თანამდებობის პირთა დანიშვნა და გათავისუფლება, ელჩებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების დანიშვნა; საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და ა.შ ისედაც ცნობილ ფაქტებს წარმოადგენს და ხშირად პრესაში და ტელევიზიით შუქდება. რაც შეეხება ამ ნაწილში მოცემულ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, სისხლისსამართლებრივ დევნას და ა.შ. მათთან ისევე, როგორც ამ ნაწილში მოცემულ დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით მოთხოვნილი ინფორმაცია შეიძლება გასაიდუმლოვდეს მხოლოდ იმ საფუძვლებზე დაყრდნობით, რომლებსაც კონსტიტუცია და ზაკის III თავი ადგენენ, კერძოდ კი, მაშინ, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას, როდესაც ეს უკანასკნელი კანონით დადგენილი წესით გასაიდუმლოებულია. **!**

განვიხილოთ სასამართლოს გადაწყვეტილებები სხვა კუთხითაც: იმ შემთხვევაშიც, თუ ჩავთვლით, რომ კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილში მოცემულ ცნებაში – ”ამ კოდექსის მოქმედება“, ზაკის III თავიც მოიაზრება, ისმის კითხვა: ნიშნავს თუ არა მე-3 მუხლის მე-4 ნაწილში ჩამოთვლილ საქმიანობებზე კოდექსის მოქმედების გაუვრცელებლობა მთლიანად სახელმწიფო ორგანოზე კოდექსის გაუვრცელებლობას?

მიგვაჩნია, რომ მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი კოდექსის მოქმედების სფეროდან გამორიცხავს განსაზღვრულ საქმიანობებს და არა ამ საქმიანობის განმახორციელებელ რომელიმე სახელმწიფო ორგანოს ან ამ საქმიანობის შედეგად შექმნილ დოკუმენტებს. სააპელაციო სასამართლომ კოდექსის მოქმედება გამორიცხა ჩამოთვლილ საქმიანობებზე და არა მათ განმახორციელებელ ორგანოებზე. თუმცა, გადაწყვეტილებიდან არ ჩანს, რატომ ჩათვალა სასამართლომ, რომ მოთხოვნილი დოკუმენტი შეეხებოდა სამხედრო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებას, სამხედრო დისციპლინის საკითხებს, საქართველოს პრეზ-

იდენტის მიერ კონსტიტუციით გათვალისწინებული ზოგიერთი უფლებამოსილების ან საგარეო პოლიტიკის განხორციელებას?

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ცალსახად არ ჩანს მოსამართლის შეხედულება – კოდექსის მოქმედება მთლიანად ეროვნული უშიშროების საბჭოზე ვრცელდება თუ მის ცალკეულ საქმიანობებზე.

## **X. დახურული საჯარო ინფორმაცია**

მართალია, დღეს უკვე აღარავინ დაობს იმის შესახებ, რომ გამჭვირვალე მთავრობის არსებობა დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისთვის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს, მაგრამ ეს ინტერესი გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მეორე, არანაკლებ არსებით საზოგადოებრივ ინტერესთან – ხელისუფლების გამართულ და ეფექტურ საქმიანობასთან, პირადი, კომერციული და სახელმწიფო საიდუმლოების დაცვასთან. ამიტომაც, კანონი მოწოდებულია, გარკვეულწილად, დააბალანსოს ყველა ლეგიტიმური საზოგადოებრივი ინტერესი. შესაბამისად, კოდექსმა განსაზღვრა დახურული საჯარო ინფორმაციის სახეები, აგრეთვე, ინფორმაციის დახურვის მეტ-ნაკლებად კონკრეტული კრიტერიუმები და პროცედურები.

### **ა) პერსონალური მონაცემები და პირადი საიდუმლოება**

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი პერსონალურ მონაცემებს შემდეგნაირად განმარტავს:

**”პერსონალური მონაცემები – საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა“.**<sup>9</sup>

**”პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია“.**<sup>10;</sup>

<sup>9</sup> ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. მუხლი 27, პუნქტი ”თ“.

<sup>10</sup> ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. მუხლი 27<sup>1</sup>.

” ... სხვისი პერსონალური მონაცემების ან კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას“.<sup>11</sup>

”საჯარო დაწესებულება ვალდებულია, არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე, თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა“<sup>12</sup>

”პერსონალური მონაცემები“ სასამართლო პრაქტიკამ ერთგვაროვნად განმარტა. აღნიშნულ საკითხზე საუბარია უზენაესი სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებაში, კერძოდ:

ა) ”ზაკ-ის 27-ე მუხლის ”თ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების ცნებას – საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა. ამდენად, პერსონალურ მონაცემებად ჩაითვლება რომელიმე კონკრეტული პირის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ამ პირის ვინაობის დადგენის შესაძლებლობას იძლევა, ანუ პირის სახელი, გვარი, ასაკი, განათლება, სამუშაო ადგილი და ა.შ.<sup>13</sup>”

ბ) ”პიროვნების სახელი, გვარი, მისამართი, ასაკი, სამუშაო ადგილი, განათლება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის ”თ“ ქვეპუნქტის თანახმად, არის პერსონალური ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა“<sup>14</sup>.

<sup>11</sup> ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. მუხლი 37, ნაწილი მე-2 ნაწილი.

<sup>12</sup> ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. მუხლი 44.

<sup>13</sup> თეა გომელაური - დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე შ.კვარაცხელიასა წინააღმდეგ; საკასაციო სასამართლოს განჩინება: მიღებული იქნა 2003 წლის 25 დეკემბერს.

<sup>14</sup> საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირი ”სოლიდარობა“ - ქუთაისის №13 საშუალო სკოლის დირექტორის ნანა ლომთაძის წინააღმდეგ; საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება: 2003 წლის 16 ოქტომბერი.

მართალია, პირი თავად წყვეტს პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, მაგრამ ხშირად სადავო ხდება, თუ რა იგულისხმება "გადაწყვეტაში", ანდა ამ მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი "როდის" უნდა გადაწყვიტოს პირმა?

- წინასწარ უნდა მიმართოს ასეთი მონაცემების მფლობელ საჯარო დაწესებულებას და აცნობოს, რომ მის შესახებ არსებულ მონაცემებს პირად საიდუმლოებად მიიჩნევს, თუ

- პერსონალური მონაცემები თავისთავად პირად საიდუმლოებად ითვლება და პირის მიერ მათი პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხის "გადაწყვეტაში" იგულისხმება სწორედ ის, რომ დაუშვებელია მისი ნებართვის გარეშე მათი გაცემა. ანდა პერსონალური მონაცემების მისაღებად წერილობითი თანხმობის წარდგენის აუცილებლობისათვის, აქვს თუ არა მნიშვნელობა ამ პერსონალური მონაცემების სტატუსს - მიჩნეულია თუ არა უკვე პირად საიდუმლოებად?

1) საქმეზე – "თ.გ. დიდუბის სასამართლოს წინააღმდეგ", უზენაესმა სასამართლომ, სადაც მოსარჩელე ითხოვდა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის მიღებას, განმარტა:

**"ზაკ-ის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას, რაც, მოცემულ შემთხვევაში, დაცული იყო, მაგრამ იმავე ნორმის ბოლო წინადადების თანახმად, სხვისი პერსონალური მონაცემების გაცნობის თაობაზე განცხადების შეტანისას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, განმცხადებელი წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამონმებულ თანხმობას. საკასაციო პალატის აზრით, გამოთხოვილი ინფორმაცია ნამდვილად შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, რომელთა საშუალებით შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია. ამიტომ აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე საჯარო ინფორმაციის მისაღებად აუცილებელ პირობას წარმოადგენდა სათანადო წესით დამონმებული მხარეთა თანხმობები ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რასაც მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია".**

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ, თუ პირს საჯარო დაწესებულებისათვის საკუთარი პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის მოთხოვნით არ მიუმართავს, ეს არ ნიშნავს, რომ პერსონალური მონაცემები ღია და ყველასათვის ხელმისაწვდომია. სასამართლოს აზრით, ასეთი ინფორმაციის მისაღებად (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა) აუცილებელია წერილობითი თანხმობის წარდგენა.

აღნიშნულისგან სრულიად განსხვავებულ მოტივაციას იძლევა უზენაესი სასამართლო სხვა მსგავს საქმეზე:

2) საქმეზე – “სმთვ ”სოლიდარობა“ ქუთაისის №13 საშუალო სკოლის დირექტორ ნ.ლ.-ს წინააღმდეგ“, უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ განმარტა:

**“ ... რაც შეეხება (განცხადების) 9-ე და 12-ე მუხლებით მოთხოვნილ ინფორმაციას. პიროვნების სახელი, გვარი, მისამართი, ასაკი, სამუშაო ადგილი, განათლება, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის “თ” ქვეპუნქტის თანახმად, არის პერსონალური ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის I ნაწილით დადგენილია, რომ საჯარო დაწესებულების ვალდებულებაა, არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის, სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ან თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემების გარდა, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მე-20 და 41-ე მუხლებით აღიარებულია ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩაურევლობა“.**

სასამართლო ეყრდნობა კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტს და აღნიშნავს, რომ

**“ ... ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი იმპერატიულად ადგენს, სხვისი პერსონალური ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისი პირის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობის წარდგენას ინფორმაციის გაცემის თაობაზე. მაგრამ საჯარო დაწესებულებაში არსებული ყველა პერსონალური ინფორმაცია არაა პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული, არამედ ზოგადი ადმინის-**

ტრაციული კოდექსის 27<sup>1</sup>-ე მუხლის მიხედვით: "პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია". ამ მუხლის შესაბამისად, კასატორმა სასამართლოს ვერ წარუდგინა სკოლის პედაგოგებისაგან სპორტული წრის ხელმძღვანელების წერილობითი განაცხადი №13 საშუალო სკოლის დირექტორისადმი, მათი პერსონალური ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ. ამიტომ მე-9 და 12-ე მუხლებით გათვალისწინებული ინფორმაცია არ მიეკუთვნება პირად საიდუმლოებას და სასამართლო ეთანხმება საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, ამ ინფორმაციის გაცემის დავალდებულების ნაწილში".

როგორც უკანასკნელი მოტივაციიდან ჩანს, ზემოთ განხილული შემთხვევისაგან განსხვავებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ, თუ პირს საჯარო დანესებულებისათვის საკუთარი პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის მოთხოვნით წინასწარ არ მიუმართავს, მაშინ მისი პერსონალური მონაცემების მისაღებად აუცილებელი არ არის წერილობითი თანხმობა და ის ყველასთვის ხელმისაწვდომია.

3) საქმეზე – "გაზეთი "ალია" საქართველოს გენერალური პროკურატურის წინააღმდეგ", სააპელაციო სასამართლომ განმარტა:

" საქმეში არსებული მასალებიდან არც ერთი არ არის მიკუთვნებული პირად საიდუმლოებას, რადგან ამავე კოდექსის 27\* მუხლის მიხედვით, პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია, მოპასუხის განმარტებით, ის ესაუბრა მ.ა.-ს (ვისაც ეხება პერსონალური მონაცემები) აღნიშნულზე, მაგრამ მან არავითარი რეაგირება არ მოახდინა, ანუ არ მიუმართავს პროკურატურისთვის, ს.ს. საქმის მასალებში არსებული პერსონალური მონაცემები ეცნოთ პირად საიდუმლოებას მიკუთვნებულ პერსონალურ მონაცემად და პროკურატურას მიეღო

შესაბამისი გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო სრულიად ალოგიკურად და დაუსაბუთებლად მიიჩნევს რაიონული სასამართლოს მსჯელობას ს.ს. საქმეში მ.ა-ს და მისი ოჯახის წევრების პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის არსებობის თაობაზე, ვინაიდან მათ მიერ კანონით მინიჭებული უფლება რეალიზებული არ ყოფილა და ამგვარი ნება არ გამოუხატავთ.

სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კანონით სწორედ პერსონალური მონაცემების სუბიექტს მიენიჭა პრიორიტეტი, განსაზღვროს, თუ რომელი პერსონალური მონაცემი მიაჩნია პირად საიდუმლოებად და შესაბამისი დანესებულების, სადაც დატულია ეს მონაცემი, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პერსონალური მონაცემები, რომლებიც, პირის სურვილის საფუძველზე, მიეკუთვნება პირად საიდუმლოებას, ექვევა სხვა სამართლებრივ რეჟიმში, ანუ არ ექვემდებარება ხელმისაწვდომობას. ზაკ-ის 28-ე მუხლის შესაბამისად, მითითებული ნორმის მიხედვით, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. სწორედ დადგენილი წესით პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის მიმართ წარმოეშობა საჯარო დანესებულებას ზაკ-ის 44.1 მუხლით დადგენილი ვალდებულება, არ გაახმაუროს ამგვარი ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე”.

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და განმარტა, რომ:

”საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლი არამართებულად გამოიყენა, ვინაიდან ამავე კოდექსის მე-30 მუხლის შესაბამისად, ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმეზე საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ გადან-

ყვეტილება მიღებული არ ყოფილა. ასევე, საქმეში არსებული მასალები პირად საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რადგან ზემოაღნიშნული კოდექსის 27<sup>1</sup> მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, იმ პირის გადასაწყვეტია, რომლის შესახებაც ეს ინფორმაცია არსებობს, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხემ ამის თაობაზე მ.ა.-ს აცნობა, ოჯახის წევრებმა პროკურატურას არ მიმართეს“.

უკანასკნელ შემთხვევაში, საგულისხმოა ის გარემოება, რომ, ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, აქ სასამართლო საუბრობს პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის შესაძლებლობაზე მათი გამოთხოვის შემდეგ. ”მოპასუხის განმარტებით, ის ესაუბრა მ.ა.-ს აღნიშნულზე, მაგრამ მან არავითარი რეაგირება არ მოახდინა, ანუ არ მიუმართავს პროკურატურისთვის, ს.ს. საქმის მასალებში არსებული პერსონალური მონაცემები ეცნოთ პირად საიდუმლოებას მიკუთვნებულ პერსონალურ მონაცემად და პროკურატურას მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება“.

მოცემულ საქმეებზე სასამართლოს მოტივაციებიდან შეიძლება გამოვყოთ საკითხის გადაწყვეტის შემდეგი ვარიანტები:

1) სხვისი პერსონალური მონაცემების მისაღებად აუცილებელია წერილობითი თანხმობის წარდგენა, მიუხედავად იმისა, ამ პირმა უკვე მიმართა თუ არა საჯარო დაწესებულებას საკუთარი პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის მოთხოვნით;

2) სხვისი პერსონალური მონაცემების მისაღებად წერილობითი თანხმობის წარდგენა მხოლოდ იმ შემთხვევაშია აუცილებელი, თუ პირმა უკვე მიმართა საჯარო დაწესებულებას საკუთარი პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის მოთხოვნით. თუ მას ასეთი მიმართვა არ გაუკეთებია, მისი პერსონალური მონაცემები ღიაა და ყველასათვის ხელმისაწვდომი;

3) თუ პირისთვის ცნობილი გახდა მისი პერსონალური მონაცემების მესამე პირის მიერ გამოთხოვის შესახებ (ასათი შეტყობინების ვალდებულება საჯარო დაწესებულებას აკისრია ზაკ-

ის 43-ე ”თ“ პუნქტის თანახმად) და მან არ მოითხოვა მათი პირად საიდუმლოებად მიჩნევა, პერსონალური მონაცემები ღია და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირისათვის.

სამწუხაროა, რომ უზენაესი სასამართლო ერთი და იგივე საკითხზე ასეთ არაერთგვაროვან გადაწყვეტილებებს იღებს.

მართალია, პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია, მაგრამ ”გადაწყვეტაში“ არ იგულისხმება წინასწარ მიმართვის აუცილებლობა. ვფიქრობთ, ასევე არასწორია მოსაზრება იმის შესახებ, რომ, თუ პირს საჯარო დანესებულებამ აცნობა, ან მისთვის სხვა წყაროდან გახდა ცნობილი მისი პერსონალური მონაცემების გამოთხოვის შესახებ და მან არ მოითხოვა მათი გასაიდუმლოება, ასეთ შემთხვევაში პერსონალური მონაცემები ღიაა.

ზაკ-ის 43-ე მუხლის ”თ“ პუნქტის თანახმად, საჯარო დანესებულება ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის პირს მესამე პირის მიერ მისი პერსონალური მონაცემების მოთხოვნის შესახებ, მაგრამ ვფიქრობთ, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ, თუ ასეთ დროს პირმა გასაიდუმლოება არ მოითხოვა, პერსონალური მონაცემები ღიაა.

ზაკ-ის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილში ცალსახად არის ნათქვამი, რომ სხვისი პერსონალური მონაცემების ან კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას, განმცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას. აქ საუბარია პერსონალურ მონაცემებზე და, ამდენად, მათ მისაღებად წერილობითი თანხმობის წარდგენა აუცილებელია, მიუხედავად იმისა, მიჩნეულია თუ არა ეს მონაცემები პირად საიდუმლოებად.

**სხვადასხვა ტიპის საქმეების განხილვის დროს აშკარად იკვეთება ტენდენცია რომ მოსამართლეებს ძალიან უჭირთ თავისუფალი მსჯელობა იმ შემთხვევებში სადაც იხილება სამეები ”განსაკუთრებით მნიშვნელოვანი“ სახელმწიფო დანესებულებების წინააღმდეგ, მაშინ როცა მაგალითად პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ საქმეებში უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამაც კი უმეტეს**

**შემთხვევებში ფიზიკურ პირს დააკისრა მასზე არსებული მონაცემების გასაიდუმლოების ვალდებულება.**

### **ბ) კომერციული საიდუმლოება**

ზაკი ითვალისწინებს იმ ინფორმაციის გასაიდუმლოებასაც, რომელიც დაცულია საჯარო დანესებულებაში, მაგრამ შეიცავს კომერციულ საიდუმლოებას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>2</sup>-ე მუხლი ერთადერთი მუხლია, რომელშიც მოცემულია კომერციული საიდუმლოების განმარტება:

**”კომერციული საიდუმლოება – ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასანევადა, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე, სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას“.**

სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებული საქმეებიდან სასამართლომ მხოლოდ ერთ საქმეზე ჩათვალა მოთხოვნილი ინფორმაცია კომერციულ საიდუმლოებად და, ვინაიდან რაიმე დასაბუთება არ გაუკეთებია, ძნელია ვიმსჯელოთ ამ მუხლის ეფექტურად გამოყენების პრაქტიკაზე. მიუხედავად ამისა, მაინც განვიხილოთ ეს საქმე, ვინაიდან, ჩვენი აზრით, მასში მრავალი ნიშნადობლივი დებულებაა. საქმე შეეხება სემეკ-სა და აუდიტორულ კომპანია “CFMG”-ის შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე “CFMG”-ის მიერ ს.ს. “ეი-ი-ეს თელას-ში” განხორციელებული აუდიტორული შემოწმების შედეგად შედგენილი დასკვნის ასლის გაცემას. რაიონულმა სასამართლომ აღნიშნული დასკვნა კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნია:

**”ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>2</sup> მუხლი განსაზღვრავს კომერციული საიდუმლოების ცნებას. კომერციულ საიდუმლოებად ჩაითვლება ნებისმიერი ის ინფორმაცია, რომელსაც გააჩნია კომერციული ღირე-**

ბუღალტერი, ანუ ამ ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი უნდა იყოს მოგების მიღება. კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს, აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას ბაზარზე. სემეკ-სა და აუდიტორულ კომპანია "CFME"-ის შორის 2001 წლის 30 მაისს დადებული იქნა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე, კომპანია "CFME"-ის მიერ შემონმეებული იქნა ს.ს "ეი-ი-ეს თელასის" 1999-2000 წლებში განეული ხარჯები, რაზედაც გაიცა აუდიტორული დასკვნა. ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლით, ხელშეკრულების მხარეებმა გაითვალისწინეს ზემოაღნიშნული დასკვნის კონფიდენციალურობა. არც ერთ მხარეს ერთმანეთის წერილობითი თანხმობის გარეშე ხელშეკრულების ვადაში და ვადის გასვლის შემდეგ უფლება არ აქვს, მესამე პირს მისცეს ინფორმაცია.

მოპასუხე, სემეკ-მა 2001 წლის 31 ივლისს გამოსცა №8\1 ბრძანება. ხელშეკრულების მე-8 მუხლის თანახმად, აუდიტორული კომპანია "CFME"-ის მიერ შედგენილი აუდიტორული დასკვნა მიიჩნია კომერციულ საიდუმლოებად. ამავებ ბრძანებაში აღნიშნულია, რომ აუდიტორული კომპანია "CFME"-ის მიერ ს.ს "ეი-ი-ეს თელასის" მიერ 1999-2000 წლებში განეული ხარჯების შემონმეების აუდიტორული დასკვნა მოიცავს ინფორმაციას ს.ს "ეი-ი-ეს თელასის" მიერ გადახდილი გადასახადების შესახებ, რაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 268-ე მუხლის თანახმად, კონფიდენციალურ ინფორმაციად არის მიჩნეული. მოპასუხის მიერ არ დარღვეულა ზაკ-ის 27\2 მუხლის მოთხოვნები ზემოაღნიშნული ბრძანების მიღებისას, სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მტკიცებას, რომ სემეკ-ს არ ჰქონდა აუდიტორული დასკვნის გასაიდუმლოების უფლება, რადგან თვლის, რომ აღნიშნული დასკვნის გასაიდუმლოებით არ დარღვეულა ზაკ-ის 42-ე მუხლის "ზ" პუნქტის მოთხოვნები.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1 ნაწილის "ე" პუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის " ... საჯარო დაწესებულებაში დაცული ... ინფორმაცია". მოთხოვნი-

ლი დასკვნა დაცული იყო სემეკ-ში, ანუ საჯარო დაწესებულებაში და, შესაბამისად, საჯარო ინფორმაციას წარმოადგენდა. იმისათვის, რომ მომხდარიყო მისი გასაიდუმლოება, იგი უნდა მიეკუთვნებინათ სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული ან პირადი საიდუმლოებისთვის. სემეკ-მა სწორედ ამ მიზნით მიანიჭა დასკვნას კომერციული საიდუმლოების სტატუსი, და სასამართლომ ეს დადგენილ და უდავო ფაქტად მიიღო. ამ შემთხვევაში საინტერესოა ის გარემოება რომ, იმის მიუხედავად, რეალურად კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენდა GPMG-ის დასკვნა თუ არა, სასამართლოს აუცილებლად უნდა ემსჯელა საქმის ფორმალურ მხარეზე. დასაბუთების გარეშე, რომელიმე დაწესებულების/ორგანიზაციის მიერ ამა თუ იმ ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ გადაწყვეტილება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც შემდგარი და უდავო აქტი. სწორედ ეს ასპექტი არის ნიშანდობლივი სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებაში. მართალია, აუდიტორული დასკვნა სემეკ-მა მიიჩნია კომერციულ საიდუმლოებად, მაგრამ სასამართლოს არ უმსჯელია იმაზე, თუ რამდენად სწორი იყო აუდიტორული დასკვნის კომერციული მოტივით გასაიდუმლოება, ანუ რამდენად ხვდებოდა აღნიშნული დასკვნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>2</sup>-ე მუხლის ნაწილში მოცემული კომერციული საიდუმლოების განმარტების ქვეშ. ამდენად, გაურკვეველია, სასამართლოს აზრით, მოთხოვნილი დასკვნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>2</sup>-ე მუხლის ნაწილით განსაზღვრულ, კომერციული საიდუმლოებისათვის დამახასიათებელ რომელ ნიშანს აკმაყოფილებდა, საიდუმლოდ რომ ჩათვალა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 27<sup>2</sup> მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა ხდება იმ პირის მოთხოვნით, რომელსაც ეხება ეს ინფორმაცია, მოცემულ შემთხვევაში კი, "ეი-ი-ეს თელასს" ასეთი მოთხოვნით სემეკისთვის არ მიუმართავს. ინფორმაციის გასაიდუმლოება მოხდა აუდიტორულ კომპანია @cpmg"-სა და სემეკ-ს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

მოცემულ საქმეზე ინფორმაციის გაცემაზე უარის ერთ-ერთ საფუძველად მითითებული იყო "დასკვნაში" "ეი-ი-ეს"-ის მიერ გადახდილი გადასახადების შესახებ ინფორმაციის არსებობა. ვფიქრობთ, აღნიშნული მოტივით მთლიანად დასკვნის გასაიდუმლოება არასწორია, ვინაიდან დასკვნაში, გადასახადების

გარდა, მოცემული იყო სხვა სახის ინფორმაციაც. რა გადამწყვეტილება უნდა მიეღო ამ შემთხვევაში სასამართლოს? ასეთ შემთხვევაში უნდა მომხდარიყო საიდუმლო ინფორმაციის გონივრულ ფარგლებში გამოცალკევება და მოპასუხისათვის დასკვნაში არსებული დანარჩენი ინფორმაციის გაცემის დაკისრება. აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემა პრაქტიკაში ხშირად იჩენს ხოლმე თავს. საჯარო დაწესებულებები ხშირად იმ შემთხვევაშიც კი ასაიდუმლოებენ მთლიან დოკუმენტს, როცა მისი მხოლოდ ერთი მცირე ნაწილია საიდუმლო.

ინფორმაციის თავისუფლების თავის სრულყოფილი მოქმედებისა და საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესის დაკმაყოფილებისათვის სწორედ ასეთი პროცედურის შედეგად მიღებული პროდუქტი არის ხშირად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. კომერციული ან თუნდაც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტებიდან ასეთი ინფორმაციის გამოცალკევება და დანარჩენის განსაჯაროება არის ყველაზე ეფექტური საშუალება სახელმწიფო აპარატის სრულად გახსნისა და გამჭვირვალეობისათვის. სხვა შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ ქვეყანაში არსებობენ საჯარო დაწესებულებები, რომელთა საქმიანობაც სრულიად დახურულია, ვინაიდან ყოველთვის შეიძლება მოიძებნოს ერთი ან ორი ფრაზა დოკუმენტში, რომელიც, რომელიმე ჩინოვნიკის აზრით, უნდა დაიხუროს.

ამ შემთხვევაში პრობლემა უკვე განხილული სასამართლო პრაქტიკის ჭრილში მრავალნახნაგოვანია.

1. სასამართლო დაკმაყოფილდა იმ ფაქტით, რომ შესაბამისმა ორგანომ თავისი აქტით დახურა ესა თუ ის ინფორმაცია და ეს მიიღო როგორც უტყუარი ფაქტი. შესაბამისად, ეს ნიშნავს იმას, რომ არა-სათანადო გასაიდუმლოებებისა და თვითნებობის აღბათობა იზრდება;
2. სასამართლო, ამა თუ იმ სადავო დოკუმენტის გამოთხოვისა და შესწავლის გარეშე, სრულ ნდობას უცხადებს სახელმწიფო დაწესებულებას და გასაიდუმლოებული ინფორმაციის კატეგორიზაციას ახდენს სახელმწიფო ჩინოვნიკის პოზიციის სასარგებლოდ და გასამყარებლად. ისევ და ისევ ამ შემთხვევაში არა-სათანადო გასაიდუმლოებებისა და თვითნებობის აღბათობა იზრდება;

3. სასამართლომ უკვე შექმნა იმის პრეცედენტი, რომ საქართველოში შეიძლება იყოს დანესებულება, რომელთა მიმართაც ზაკი საერთოდ არ მოქმედებს, ხოლო მისი ინფორმაციის თავისუფლების აქტი მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელების ნაწილში მოქმედებს, რაც, ჩვენი აზრით, ინფორმაციის თავისუფლებას საერთოდ უკარგავს აზრს და საბოლოოდ საზოგადოებისათვის შესაძლოა ყველაზე საინტერესო და სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფორმაციაც მიუწვდომელი გახადოს.

გ) რაც შეეხება სახელმწიფო საიდუმლოებას, ამ მიმართებით საქმეები არ მოგვეპოვება, თუ არ ჩავთვლით "საია სახელმწიფო უშიშროების საბჭოს წინააღმდეგ" საქმეს, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი.<sup>15</sup>

## XI. განსხვავებული საქმეები

ჩვენს ხელთ არსებული მასალიდან გამოვყავით რამდენიმე საქმე, რომელიც არ ხვდება ზემოთ განხილულ კატეგორიებში, მაგრამ ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს.

1. საქმეზე – "თ.გ. უშიშროების სამინისტროს წინააღმდეგ", რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და მოპასუხეს საჯარო ინფორმაციის გაცემა დააკისრა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც გადაწყვეტილებით დაადგინა თავად უშიშროების სამინისტროს მიერ თ.გ.-სადმი მიწერილი პასუხის ბათილად ცნობა იმ საფუძველით, რომ იგი არაუფლებამოსილი პირის მიერ იყო მიღებული. რა პოზიცია დაიკავა ამ შემთხვევაში სასამართლომ?

სასამართლოს მოტივაციის ნაწილი:

**"... სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის უფროსის 2002 წლის 7 აგვისტოს №9\5-720 №10\6.ნ.-2 წერილი \პასუხი\ არამართლზომიერია და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.1 "ა" მუხლის, ადმინისტრაცი-**

<sup>15</sup> "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" - საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წინააღმდეგ კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, 2003 წლის 16 მაისი.

ული საპროცესო კოდექსის 32.1 მუხლის საფუძველზე. რამდენადაც გასაჩივრებული პასუხი წარმოადგენს უარს პერსონალური მონაცემების გადაცემაზე, რაც ზაკ-ის 41-ე მუხლის მიხედვით, მიჩნეულია გადანაცვებიდან, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციულ აქტს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "გ" პუნქტში მოცემული დეფინიციის შესაბამისად, სადავო აქტი გამოცემულია ზაკ-ის 5.3 მუხლის დარღვევით, რადგან იგი მიღებულია არაუფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ, რის გამოც სადავო ადმინისტრაციულ აქტს არა აქვს იურიდიული ძალა და იგი ექვემდებარება ბათილად გამოცხადებას. ... სამინისტროს, მისივე წარმომადგენელთა განმარტებით, ჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირი, ანტიტერორისტული ცენტრის უფროსი კი ასეთს არ წარმოადგენს. ... გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლი და უნდა დაევალოს მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად, გამოსცეს ახალი ადმინისტრაციული აქტი \გადაწყვეტილება\ თ.გ-ს მოთხოვნასთან დაკავშირებით, რამდენადაც აღნიშნულისთვის არსებობს მოსარჩელის კანონიერი გადაუდებელი ინტერესი, რამდენადაც საქმე ეხება მისი პერსონალური მონაცემების სამინისტროში შენახვას".

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ისე დააკისრა უშიშროების სამინისტროს ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, რომ არ გადაუწყვეტია საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხი. ეს საკითხი ღიად დარჩა, რაც არ გამორიცხავს იმას, რომ სამინისტროს, ახალი აქტით, კვლავ უარი ეთქვა თ.გ-სთვის ინფორმაციის გაცემაზე, რის შემდეგაც მას ხელახლა მოუწევდა იმავე ინფორმაციასთან დაკავშირებით სასამართლოსათვის მიმართვა. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის თანახმად კი, რომელზე დაყრდნობითაც სააპელაციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება: " ... **სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობისთვის არსებობს მხარის გადაუდებე-**

ლი კანონიერი ინტერესი“. ვფიქრობთ, საქმის ასეთი გადან-  
ყვეტა არ უნდა წარმოადგენდეს მხარის, კერძოდ კი თ.გ-ს,  
კანონიერ ინტერესს. ამგვარი გადანყვეტილება არა მარტო  
აჭიანურებს დროში ინფორმაციის მიღებას, არამედ ამცირებს  
სასამართლოს როლს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომო-  
ბის უზრუნველყოფაში. ეს კი სერიოზული პრობლემაა, ვინაი-  
დან სასამართლო დარღვეული უფლების აღდგენის ბოლო საშუ-  
ალებას წარმოადგენს. სასურველი იქნებოდა, სასამართლოებს  
თავისი გადანყვეტილებებით უფრო ეფექტური გაეხადათ სა-  
ჯარო ინფორმაციის მიღების უფლების დაცვა. ამგვარად, ჩვე-  
ნი აზრით, უფრო მისაღები იქნებოდა, სააპელაციო სასამართ-  
ლოს გადაენყვეტა საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხი.

2. განსხვავებული კატეგორიის საქმეებში აღსანიშნავია ასევე  
”ვ.გ. ხაშურის რაიონის პროკურატურის წინააღმდეგ“. ამ  
საქმით წამოწეულ იქნა აქამდე საჯარო ინფორმაციასთან  
დაკავშირებით უპრეცედენტო საკითხი, კერძოდ: შეიძლება თუ  
არა პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროს  
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარისათვის? ხაშურის  
რაიონულმა სასამართლომ დაადგინა:

**”პროკურატურის მიერ სწორად იქნა მიღებული დად-  
გენილება სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის  
შესახებ, რადგან გამგებლის მიერ რაიმე თანამდებო-  
ბრივი დანაშაულის ჩადენა მოკვლეული მასალებით  
არ დასტურდება. ვერც სასამართლოს სხდომაზე მოახ-  
ერხეს პარლამენტის წევრმა და მისმა ადვოკატმა იმის  
დამტკიცება, რომ პასუხების დაგვიანებით დეპუტატს  
და სხვა მოქალაქეებს ზიანი მიადგათ. საქ. სსკ-ს 333-ე  
და 342-ე მუხლებით ქმედების დაკვალიფიცირებისას  
აუცილებელია დადგენილ იქნას, რომ თანამდებობის  
პირმა უფლებამოსილების გადამეტებით ან სამსახ-  
ურეობრივი გულგრილობით გამოიწვია ფიზიკური ან  
იურიდიული პირების უფლების, საზოგადოების ან სახ-  
ელმწიფოს კანონიერი ინტერესის დარღვევა. ამ  
შემთხვევაში კი, ასეთი უფლების ან ინტერესის არსე-  
ბითი დარღვევა არ დასტურდება“.**

გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა უზენაეს სასამართლო-  
ში (სისხლის სამართლის საქმეთა პალატა). უზენაეს სასამართ-  
ლოს გადაწყვეტილება არ შეუცვლია:

**”მოკვლეული მასალებით დგინდება, რომ გ-სა და მისი ბიუროსგან შესული ყველა წერილი რეგისტრირებულია გამგეობის საერთო განყოფილებაში, დადებული აქვს რეზოლუცია, რომლის თანახმად, ინფორმაციის მოძიება და ადრესატისთვის გადაცემა დაევალათ აპარატის თანამშრომლებს. მართალია, სამ წერილს არ გაეცა პასუხი, ხოლო დანარჩენებზე პასუხი მიღებულ იქნა დაგვიანებით, მაგრამ პალატას მიაჩნია, რომ ეს ვერ გახდება გამგებლის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი, ვინაიდან არ არსებობს მის მიერ განხორციელებული ქმედების სუბიექტური შემადგენლობა, კერძოდ, იგი არ მოქმედებდა არც დანაშაულებრივი განზრახვით და არც გაუფრთხილებლობით”.**

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, ეს არ უნდა გამორიცხავდეს საჯარო ინფორმაციის გაუცემლობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას. თუმცა, იმის დამტკიცება, რომ საჯარო ინფორმაციის გაუცემლობით ან დაგვიანებით გაცემით პირმა ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე, 342-ე ან სხვა მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, საკმაოდ რთულია, ვინაიდან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისთვის საჭიროა დადგენილ იქნას დანაშაულის შემადგენლობის არსებობა. თუმცა, დანაშაულის ნიშნების არსებობის დამტკიცების შემთხვევაში, ასეთი პასუხისმგებლობის დაშვების შესაძლებლობა არ უნდა გამოირიცხოს, მით უმეტეს, რომ საჯარო ინფორმაციის მიღების უფლება და, თანაც, მკაცრად დადგენილ ვადებში, კანონითაა განსაზღვრული. ამიტომ სასამართლოს მიერ იმაზე აპელირება, რომ ინფორმაციის გაუცემლობა არ წარმოადგენს უფლების დარღვევას, მიუღებელია და ინფორმაციის მიღების თავისუფლების მნიშვნელობას მეორეხარისხოვან როლს ანიჭებს.

## **XII. პროცესის ხარჯები: სახელმწიფო ბაჟი და ზიანის ანაზღაურება**

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში პროცესის ხარჯების საკითხი რეგულირდება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის IV თავითა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავით. პროცესის ხარჯები შედგება ორი ნაწილისგან: სასამართლო ხარჯებისა და სასამართლოსგარეშე ხარჯებისგან.

ამ შემთხვევაში, ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენდა ბაჟი, რომელიც სასამართლო ხარჯებს განეკუთვნება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად: **”იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს-“.**

როგორ წყდება საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ საქმეებზე ბაჟის საკითხი? სასამართლომ ბაჟის მიმართ, მოყვანილი მუხლის შესაბამისად, ცალსახა მიდგომა შეიმუშავა: თუ სარჩელი დაკმაყოფილდა, სასამართლო ბაჟის გადახდას მოპასუხეს დააკისრებს, ხოლო, თუ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მაშინ – მოსარჩელეს. ამდენად, ბაჟი, როგორც სხვა პროცესის ხარჯები, არ განიხილება სასარჩელო მოთხოვნად და მისი გადაწყვეტა სარჩელის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული.

საქმეზე – ”ა.მ. საოლქო საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ“, საკასაციო სასამართლომ დაადგინა:

**”კასატორის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება დამოკიდებულია საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე დავის შედეგებზე“.**

საქმეზე – ”თ.გ. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე შ. კვარაცხელიას წინააღმდეგ“, სასამართლომ აღნიშნა:

**”... საპროცესო ხარჯების განაწილების საკითხი არ შეიძლება იყოს სასარჩელო მოთხოვნის საგანი. იგი განიხილება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისას“.**

საქმეზე – ”არასამთავრობო ორგანიზაცია“ დემოკრატ მესხთა კავშირი“ ახალციხის რაიონული სახელმწიფო არქივის წინააღმდეგ“, სარჩელი არ იქნა დაკმაყოფილებული, ამიტომ სასამართლომ დაადგინა:

**”სახელმწიფო ბაჟის 10 ლარის გადახდა დაეკისროს მოსარჩელეს“.**

საქმეზე – ”საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ“, სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნა და, შესაბამისად, სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა **”მოსარჩლისთვის მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 30 ლარის ანაზღაურება“.**

საქმეზე – ”ბ.ჯ. – დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს წინააღმდეგ“, სარჩელი არ დაკმაყოფილდა და სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით დაადგინა:

**”სახელმწიფო ბაჟი 30 ლარის ოდენობით, გადახდეს მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ“.**

ამდენად, სახელმწიფო ბაჟის საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო პრაქტიკაში განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილება. იგივე შეეხება, პროცესის სხვა ხარჯებსაც. თუმცა ბაჟთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი პრობლემა. უკანასკნელ პერიოდში საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე ბაჟი განისაზღვრება სტანდარტულად 30 ლარის ოდენობით, შესაბამისად, ისმის კითხვა: როგორ ხდება ამ ოდენობის განსაზღვრა?

საქმეზე – ”ა.მ. საოლქო საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ“, სააპელაციო სასამართლომ განმარტა:

**”ა.მ. სარჩელზე სადავო საგნის ღირებულება განსაზღვრული არ არის, არ უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნა ... ამასთანავე, ვინაიდან საარჩევნო კომისიას სააპელაციო საჩივარზე გადახდილი ჰქონდა სახელმწიფო ბაჟი 30 ლარის ოდენობით“.**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა დამოკიდებულია დავის საგნის ღირებულებაზე და შეადგენს 2,5 პროცენტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობიდან წარმოშობილ საქმეებზე. ამდენად, თუ სასამართლომ დავის საგნის ღირებულება განუსაზღვრელად ჩათვალა, მაშინ გაურკვეველია, როგორ განსაზღვრა, რომ ბაჟის სახით 30 ლარი უნდა ყოფილიყო გადახდილი. იმავე საქმეზე საკასაციო სასამართლომ აღნიშნა:

**”დავის საგნის ფასის განსაზღვრას მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ბაჟის და სახაზინო წესით მოწვეული ადვოკატის ანაზღაურების განსაზღვრისათვის. ვინაიდან განსახილველი დავა არ განეკუთვნება ქონებრივ-სამართლებრივ რიგს, შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტი განსაზღვრა. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს თავად უნდა განესაზღვრა დავის საგნის ფასი“.**

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნა არაქონებრივი სამართლებრივი დავაა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 43-ე

მუხლის თანახმად, არაქონებრივი დავების დროს სარჩელის ფასის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მიღებულ იქნას ყველა გარემოება და კონკრეტული მონაცემი, საქმის მოცულობა, აგრეთვე, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა. ამ ზოგადი წესიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ დავის საგნის ღირებულების განსაზღვრა მოსამართლის სუბიექტურ შეფასებაზეა დამოკიდებული იმ საქმეებზე, რომლითაც მოსარჩელე მხოლოდ ინფორმაციის გაცემას ითხოვს.

ამდენად, თუ დავის საგნის ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში არსებობს განსხვავებული პოზიცია, სრულიად გაუგებარია, რატომ ან საიდან აითვლება ყველა სასამართლოში ერთი და იგივე თანხა – 30 ლარი ბაჟის სახით. ამასთან, ვინაიდან ეს საკითხი კანონმდებლობით ზუსტად არ არის დარეგულირებული, გამორიცხული არა არის მომავალში რომელიმე სასამართლომ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე ბაჟის ოდენობა გაზარდოს და ეს უკანასკნელი გამოყენებული იყოს ინფორმაციის თავისუფლების საქმეებზე სამართალწარმოების დაწყების პერვენიცისათვის. აქედან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით ზუსტად განსაზღვრულიყო გადასახდელი დავის საგნის ღირებულება ან პირდაპირ ბაჟის ოდენობა იმ საქმეებზე, რომლებზეც მოსარჩელე ითხოვს მხოლოდ საჯარო ინფორმაციის გაცემას. ეს გამორიცხავდა დავის საგნის ღირებულებასთან დაკავშირებით გაუგებრობის წარმოშობას და მოსამართლეთა მიერ ამ საკითხის სუბიექტური შეფასების საჭიროებას.

ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც სასამართლო პრაქტიკის შედეგად გამოიკვეთა, არის პროცესის ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების იდენტურობის საკითხი. საქმეზე – ”ა.მ. საოლქო საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ“, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, პროცესის ხარჯები და ზიანის ანაზღაურება გაიგივდა.

ა.მ-ს მიერ უზენაეს სასამართლოში მოთხოვნა შემდეგი სახით იყო ჩამოყალიბებული: **”სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც მას უარი ეთქვა გადახდილი თანხის საოლქო საარჩევნო კომისიისათვის ანაზღაურების დაკისრებაზე“**. გადახდილ თანხაში იგულისხმებოდა ბაჟი და ადვოკატის მომსახურებისთვის

განეული თანხა 150 ლარის ოდენობით. საკასაციო სასამართლომ დაადგინა:

”კასატორის მიერ განეული ხარჯების ანაზღაურება დამოკიდებულია საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე დავის შედეგებზე. ამდენად, დადგენილია, რომ საჯარო დაწესებულების – საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, კასატორს მოუხდა 10 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟისა და განეული სამართლებრივი მომსახურების ანაზღაურებისთვის 150 ლარის გადახდა. პროცესუალური კანონმდებლობით, მხარე, რომლის საწინააღმდეგოდაც არის გამოტანილი გადაწყვეტილება, ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს ყველა განეული ხარჯი. სსსკ-ს 54-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად, მოსარჩელის თხოვნით, სასამართლო მოპასუხეს დააკისრებს მოსარჩელის მიერ განეული ყველა ხარჯის ანაზღაურებას. უსაფუძვლოა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სსსკ-ს 47-ე მუხლზე მითითება, ვინაიდან აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სახელმწიფოს ხარჯზე მონვეული ადვოკატის საქმიანობის ანაზღაურების გაანგარიშებას, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. განეული ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს არ წარმოადგენს, აგრეთვე, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ სადავო საგნის ღირებულება განსაზღვრული არ არის. დავის საგნის ფასის განსაზღვრას მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ბაჟის და სახაზინო წესით მონვეული ადვოკატის ანაზღაურების განსაზღვრისათვის. ვინაიდან განსახილველი დავა არ განეკუთვნება ქონებრივ-სამართლებრივ რიგს, შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტი განსაზღვრა. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს თავად უნდა განსაზღვრა დავის საგნის ფასი. ა.მ. სასარჩელო განცხადებით მოპასუხისგან მოითხოვდა საჯარო ინფორმაციის გაცემას, მოპასუხე მხარისათვის საჯარო ინფორმაციის გაუცემლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ზაკ-ის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ

კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საჯარო ინფორმაციის გაცემისას განცდილი ზიანის ხასიათის გამო რთულია მისი ზუსტი განსაზღვრა. ამასთანავე, საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ საჯარო დაწესებულების — საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო კასატორს სახელმწიფო ბაჟის და განეული სამართლებრივი მომსახურების ანაზღაურებისთვის მოუხდა 160 ლარის გადახდა. ამდენად, სახეზეა მიყენებული ზიანი, რომელიც გამოიხატება უკანონო მოქმედების (უმოქმედობის) გამო განეულ სასამართლო ხარჯებში. იურიდიული დახმარებისთვის კასატორის მიერ გადახდილ თანხაში. საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ აღნიშნული ზიანი კასატორს მიადგა მონინალმდევე მხარისთვის დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, რომელსაც შეესაბამებოდა ა.მ-ს უფლება საჯარო ინფორმაციის მიღებაზე, ზიანი დამდგარია მართლსაწინააღმდეგო (ზაკ 38-ე, მე-40, 41-ე, "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 66-ე მუხლი) უმოქმედობით. უკანასკნელსა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს უშუალო მიზეზობრივი კავშირი. ამდენად, სახეზეა სახელმწიფო ორგანოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები“.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლი მიუთითებს, რომ

**”ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი“.**

სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის ნაწილით დადგენილია:

**”თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო,**

**ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი“.**

ფაქტობრივად, მხარის მიერ განეული პროცესის ხარჯები ფულად თანხაში ყოველთვის აისახება და, თავისთავად, მატერიალურ ხარჯს წარმოადგენს. ამიტომაც, ამ შემთხვევაში სასამართლომ ბაჟისა და ადვოკატის ანაზღაურების ხარჯები, რომლებიც პროცესის ხარჯებს განეკუთვნება, მარტივად მოაქცია იმ მატერიალური ზიანის კატეგორიაში, რომელიც 1005-ე მუხლითაა გათვალისწინებული და ცალკე კატეგორიას წარმოადგენს. ზღვარის გავლება ამ ორ კატეგორიას შორის საკმაოდ რთულია. ჩვენი აზრით, 1005-ე მუხლი შეეხება ისეთი ზიანის ანაზღაურებას, რომელიც უშუალოდ ადმინისტრაციული ორგანოს მოსამსახურის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად დადგა და შესაბამისად ამ საკითხის გადაწყვეტისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა განსაზღვროს პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დამდგარ ზიანსა და მოხელის ქმედებას შორის. სწორედ “უშუალო მიზეზობრივი კავშირის“ ტესტის გამოყენებით უნდა იყოს მიღებული გადაწყვეტილებები. ამასთან, პროცესის ხარჯების ანაზღაურების საკითხს საქართველოს კანონმდებლობა სხვადასხვაგვარად აწესრიგებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის IV და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავებში.

გარდა ამისა, პროცესის ხარჯები, ბაჟის საკითხის განხილვისას სასარჩელო მოთხოვნას არ წარმოადგენს და მხარეებს შორის მათ განაწილებას სასამართლო სარჩელის გადაწყვეტის შემდეგ წყვეტს. სარჩელში დაყენებული მატერიალური თუ მორალური ზიანის ანაზღაურება კი სასარჩელო მოთხოვნაა და მათი არსებობის შესახებ სასამართლომ ცალკე უნდა იმსჯელოს. ამასთან, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გავლენას ახდენს დავის საგნის ღირებულების განსაზღვრაზეც. ამდენად, ვფიქრობთ, პროცესის ხარჯები და ზიანის ანაზღაურება სხვადასხვა კატეგორიაა და ისინი ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს.

რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების დანარჩენ ნაწილს, სასამართლო დაადგინა, რომ:

**”სსსკ-ს 54-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელის თხოვნით, სასამართლო მოპასუხეს დააკისრებს მოსარჩელის მიერ განეული ყველა ხარჯის ანაზღაურებას“.**

აქ სასამართლოს გამორჩა ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ის პირობა, რომელიც უნდა არსებობდეს იმისათვის, რომ მოპასუხეს ყველა ხარჯის ანაზღაურება დაეკისროს. ეს პირობაა: **”როცა მოსარჩელემ მხარი არ დაუჭირა თავის მოთხოვნას იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი“**. ამ საქმეში მსგავს შემთხვევას ადგილი არ ჰქონია, ამიტომ ამ მუხლზე აპელირება აზრს მოკლებულია. რაც შეეხება გადაწყვეტილებაში ნახსენებ სსსკ-ს 47-ე მუხლს, მართალია, ამ მუხლის II ნაწილი შეეხება სახელმწიფოს ხარჯზე მოწვეული ადვოკატის ანაზღაურებას, მაგრამ 53-ე მუხლის I ნაწილი სწორედ ამ მუხლზე მიუთითებს იმის განსასაზღვრად, თუ რა ოდენობით უნდა აუნაზღაურდეს მხარეს წარმომადგენლის დახმარებისთვის განეული ხარჯები, რომლის სასარგებლოდაც გადაწყდა საქმე. ეს ოდენობა დავის საგნის ღირებულების 4%-ით განისაზღვრება. ჩვენი აზრით, ასეთი პროცენტის დანესება უსამართლოა და უფრო მართებული იქნებოდა, რომ მხარეს, რომლის სასარგებლოდაც საქმე გადაწყდა, მიეღო მის მიერ წარმომადგენლის დახმარებისთვის განეული ხარჯის სრული ანაზღაურება.

სამწუხაროდ, ზიანის ანაზღაურების საკითხებზე სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ მწირია, რაც გამოწვეულია იმ ობიექტური მიზეზით, რომ მომჩივანები არ იყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებას, მოითხოვონ მიყენებული მატერიალური თუ მორალური ზიანის ანაზღაურება. მატერიალურ ზიანსა და მხარის მიერ განეული პროცესის ხარჯებს შორის განსხვავებაზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, ამიტომაც აღარ განვმეორდებით.

ჩვენს ხელთ არსებული საქმეებიდან მხოლოდ რამდენიმე საქმეში მოსარჩელე ითხოვდა მიყენებული მატერიალური (ასლების გადაღება, მგ ზავრობის ხარჯი და ა.შ.) და მორალური ზიანის ანაზღაურებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საქმეებზე ან სასამართლოს გადაწყვეტილებები არ გავგაჩნია, ან თავად მოსარჩელეებმა განაცხადეს უარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე საქმის სასამართლოში განხილვისას.

განსხვავებით მატერიალური ზიანისაგან, მორალური ზიანის არსებობის დამტკიცება გაცილებით რთულია. ვფიქრობთ, სწორედ ეს არის მოსარჩელეების მიერ მორალური ზიანის მოთხოვნისათვის თავის არიდების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. ამიტომ მნიშვნელოვანი იქნებოდა სასამართლოს თუნდაც რამ-

დენიმი გადანყვეტილების არსებობა, რომელშიც მოცემული იქნებოდა საჯარო ინფორმაციის მიუღებლობით გამოწვეული მორალური ზიანის არსებობის დასაბუთება. ამით გასაგები გახდებოდა, თუ რატომ და როდის მიიჩნევა სასამართლო, რომ მორალური ზიანი ნამდვილად არსებობდა. ეს, ასევე, ხელს შეუწყობდა მომავალში მოსარჩელების გააქტიურებას მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის თვალსაზრისით. მეორეს მხრივ, საჯარო დაწესებულებისთვის საჯარო ინფორმაციის დაგვიანებით ან საერთოდ გაუცემლობისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების პრეცედენტის არსებობას შესაძლოა, უფრო ეფექტური გაეხადა საჯარო ინფორმაციის გაცემის მხრივ საჯარო დაწესებულებების მუშაობა. მსგავსი შემთხვევები აიძულებდა იმავე და სხვა დაწესებულებებს მომავალში უფრო მეტი გულისხმიერებით მოჰკიდებოდნენ იმ განცხადებებს, რომლებიც საჯარო ინფორმაციის გაცემას შეეხება და ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას კანონის ფარგლებში ემოქმედათ. ამდენად, ამ კუთხით სასამართლო პრაქტიკის არსებობა, ჩვენი აზრით, დადებითად იმოქმედებდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის აღსრულებაზე. გარდა ამისა, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება ერთგვარი "სასჯელი" იქნებოდა იმ საჯარო დაწესებულებისთვის, რომელმაც დაარღვია პირის კანონით დადგენილი უფლება, ხოლო მოსარჩლისთვის ეს იქნებოდა კომპენსაცია მისი უფლების დარღვევისა და ინფორმაციის დაგვიანებით მიღებისათვის.

## **XII. დასკვნები და რეკომენდაციები**

### **რეკომენდაციები:**

- სასურველია შემცირდეს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული საქმეების სასამართლოში განხილვისთვის დადგენილი საპროცესო ვადები;
- დასაზუსტებელია პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევისა და გასაიდუმლოების საკითხი – 27<sup>1</sup> მუხლი, 37-ეს მე-2 ნაწილი და 43-ეს "თ" პუნქტი;
- ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, სასურველია მოენწყოს მოსამართლეთა მრგვალი მაგიდები;

- ზოგიერთი ნორმის პრაქტიკაში უკეთ დამკვიდრების მიზნით, სასამართლოების მიერ უნდა მიღებულ იქნას დასაბუთებული გადანყვეტილებები;
- სასურველი იქნებოდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით ზუსტად განსაზღვრულიყო დავის საგნის ღირებულება საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე, ხოლო შემდეგ გადასახდელი ბაჟის ოდენობა განსაზღვრულიყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის I ნაწილის "ა" ქვეპუნქტში მოცემული პროცენტის შესაბამისად, ანდა პირდაპირ დადგენილიყო ბაჟის ოდენობა;

ამდენად, დღემდე არსებული სასამართლო პრაქტიკის ამ მოკლე ანალიზიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რიგ შემთხვევებში სასამართლოების მიერ მიღებული გადანყვეტილებების ნაკლოვანებები გამოწვეულია ხარვეზებით, რომლებიც მრავლადაა კანონმდებლობაში და რომლებიც ხშირ შემთხვევაში მრავალნაირი ინტერპრეტირების შესაძლებლობას იძლევა, ხოლო ზოგჯერ დაუსაბუთებელ გადანყვეტილებებს თავად სასამართლოები იღებენ და კანონის ნათლად ჩამოყალიბებულ ნორმებს არასწორად განმარტავენ. იმედი გვაქვს, მომავალში სასამართლო პრაქტიკა ინფორმაციის თავისუფლებასთან მიმართებაში უფრო დაიხვეწება, გამდიდრდება და უფრო ეფექტურს გახდის საზოგადოების მიერ მისთვის საინტერესო საჯარო ინფორმაციის მიღების უფლების დაცვას.

**ინფორმაციის თავისუფლებასთან  
დაკავშირებით სასამართლოებში  
ბანხილული საქმეები**

**1. ვახტანგ კომახიძე - საქართველოს ბანერალური პროკუ-  
რატურის წინააღმდეგ**

კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლო

სარჩელის შეტანის თარიღი: 2001 წლის 24 ივლისი

მოსარჩელე: ვახტანგ კომახიძე ("თავისუფალ ჟურნალისტთა კლუბი")

მოპასუხე: საქართველოს გენერალური პროკურატურა

**სასარჩელო მოთხოვნა:** ა) დაეკისროს მოპასუხეს გასცეს იმ მასალების ასლები, რომელთა საფუძველზეც მიიღო გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეთა არ აღძვრის შესახებ (პროკურატურის მიერ არ იქნა აღძრული საქმე ზოგიერთი თანამდებობის პირის მიერ ქონებრივ და საფინანსო დეკლარაციაში კანონის შესაძლო დარღვევების შესახებ, რაზედაც რამდენჯერმე მიანოდა პროკურატურას მასალა "თავისუფალ ჟურნალისტთა კლუბმა"). ბ) დაეკისროს მოპასუხეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლის შესრულება.

**სასამართლოს გადაწყვეტილება:** 2002 წლის 1 აპრილი. სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოსამართლე: თ. ჯალიაშვილი.

**2. "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" -  
საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წინააღმდეგ**

კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლო

სარჩელის შეტანის თარიღი: 2003 წლის 14 თებერვალი

მოსარჩელე: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (ს.ა.ი.ა.)

მოპასუხე: საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო

**სასარჩელო მოთხოვნა:** ა) დაეკისროს უშიშროების საბჭოს მოთხოვნილი დოკუმენტის, კერძოდ "საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობის მონესრიგების გასატარებელ ღონისძიებათა გეგმის" ასლის გაცემა. ბ) სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში დაეკისროს მოპასუხეს მოსარჩელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

**სასამართლოს გადაწყვეტილება:** გამოტანილ იქნა 2003 წლის 16 მაისს. სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოსამართლე: თ. ყაჭიეშვილი.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:** 2003 წლის 5 სექტემბერს. სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

**საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:** 2004 წლის 10 მარტი. სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

### **3. დავით გურგენიძე - საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წინააღმდეგ**

**კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლო**

**სარჩელის შეტანის თარიღი:** 2003 წლის 22 მაისი

**მოსარჩელე:** დავით გურგენიძე

**მოპასუხე:** საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭო

**სასარჩელო მოთხოვნა:** საოლქო სასამართლოს მოსამართლე პაატა ქობულაძის დისციპლინური სახდელის სარეზოლუციო ნაწილის ქსეროასლი.

**რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება:** მიღებულ იქნა 2003 წლის 10 ივლისს. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:** მიღებულ იქნა 2004 წლის 16 თებერვალს. სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხეს დაევალა საჯარო ინფორმაციის გაცემა და ბაჟის გადახდა.

### **4. საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირი "სოლიდარობა" - ქუთაისის №13 საშუალო სკოლის დირექტორის ნანა ლომთაძის წინააღმდეგ**

**ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლო**

**სარჩელის შეტანის თარიღი:** 2002 წლის 16 ოქტომბერი

**მოსარჩელე:** საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირი "სოლიდარობა"

**მოპასუხე:** ქუთაისის №13 საშუალო სკოლის დირექტორი

**სასარჩელო მოთხოვნა:** "განათლება კორუფციის გარეშე" პროექტის ფარგლებში შედგენილი კითხვარით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა.

**საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება:** 2002 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით "სოლიდარობის" სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ, კერძოდ დაავალა №13 სკოლის დირექტორს გაცემა საჯარო ინფორმაცია, გარდა კითხვარის მე-3, 8, 9, 10, 12 პუნქტებში მითითებული პერსონალური ინფორმაციისა.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:** 2003 წლის 30 აპრილს დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი და გააუქმა საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელზე უარის თქმის ნაწილში და დაავალა №13 სკოლის დირექტორს შემდეგი საჯარო ინფორმაციის გაცემა: კლასკომპლექტების რაოდენობა და კლასების მიხედვით მოსწავლის სახელი, გვარი, მამის სახელი და დაბადების თარიღი; სკოლის რომელიმე ფართის იჯარით გაცემის შემთხვევაში დამქირავებელი იურიდიული პირის სახელწოდება, მისამართი, ხელმძღვანელის სახელი, გვარი; სკოლაში საგანმანათლებლო სპორტული წრის ან სტანდარტის ზემოთ სწავლების შემთხვევაში, იურიდიული პირის სახელწოდება, მისამართი, ხელმძღვანელის სახელი, გვარი; 2001-2002 წლებში მიღებული პედაგოგების რაოდენობა, სახელი, გვარი, სპეციალობა.

**საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:** 2003 წლის 16 ოქტომბერი. საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

## **5.9 ფიზიკური პირი - აჭარის ა/რ ქონების მართვის სამინისტროს წინააღმდეგ**

**ბათუმის საქალაქო სასამართლო**

**სარჩელის შეტანის თარიღი:** 2003 წლის 3 თებერვალი (სავარაუდო)

**მოსარჩელე:** ცხრა ფიზიკური პირი

**მოპასუხე:** აჭარის ა/რ ქონების მართვის სამინისტრო

**სასარჩელო მოთხოვნა:** ა) საჯარო ინფორმაციის ასლები, რომლების შეეხება ქ. ბათუმის №2 სტომატოლოგიური პოლიკლინიკისა და სს "სტომატოლოგი"-ს პრიატიზაციის პროცესს, კერძოდ: 1996 წლის 27 მაისის დადგენილება; 1996 წლის 13 აგვისტოს №053 ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება; 1996 წლის 10 სექტემბრის მიღება-ჩაბარების აქტი; 1996 წლის 12 ნოემბრის სახელშეკრულებო ვალდებულება; 1999 წლის 13 აგვისტოს ხელშეკრულება; 1999 წლის 18 აგვისტოს სს "სტომატოლოგ ზე" გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა და სხვა ხელშეკრულებები; ბ) არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 3000 ლარის ოდენობით; გ) სახელმწიფო ბაჟისაგან განთავისუფლება და მოპასუხისათვის იურიდიული მომსახურებისა და სასამართლო ხარჯების ანაზღაურება.

## **6. ლიანა რუხაძე - აჭარის ცენტრალური არქივის წინააღმდეგ**

**ბათუმის საქალაქო სასამართლო**

**სარჩელის შეტანის თარიღი:** 2003 წლის 4 აპრილი

**მოსარჩელე:** ლიანა რუხაძე

**მოპასუხე:** აჭარის ცენტრალური არქივი

**სასარჩელო მოთხოვნა: ა)** საჯარო ინფორმაციის ასლების გადაღებისას გადახდილი ზედმეტი თანხის, კერძოდ კი 13 ლარის და 75 თეთრის დაბრუნება (ქონებრივი ზიანის ანაზღაურება); **ბ)** ასევე მორალური ზიანის ანაზღაურება 2000 ლარის ოდენობით ზედმეტი ნერვიულობისა და თანხის უქონლობის გამო დოკუმენტების წარდგენის დაგვიანებისათვის.

## **7. სამართლიანი არჩევნების გორის რაიონული ორგანიზაცია - გორის რაიონის პოლიციის სამმართველოსა და გორის რაიონის გამგეობის წინააღმდეგ**

**გორის რაიონული სასამართლო**

**სარჩელის შეტანის თარიღი:** 2003 წლის 7 ივლისი

**მოსარჩელე:** "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" გორის რაიონული ორგანიზაცია

**მოპასუხე:** გორის რაიონის პოლიციის სამმართველო და გორის რაიონის გამგეობა.

**სასარჩელო მოთხოვნა: ა)** ამომრჩევლების სიების შედგენა-დაზუსტების უზრუნველსაყოფად პოლიციის სამმართველოს მიერ ჩატარებულ სამუშაოთა შემაჯამებელი ოქმის დამონმებული ასლის გაცემა; **ბ)** მატერიალური და მორალური ზიანის /ზარალის/ ანაზღაურება.

**სასამართლოს გადაწყვეტილება:** მიღებულ იქნა 2003 წლის 2 სექტემბერი. სარჩელი დაკმაყოფილდა.

## **8. ნადია მუმლაძე - დაბა სურამის საკრებულოს წინააღმდეგ**

**ხაშურის რაიონული სასამართლო**

**მოსარჩელე:** ნადია მუმლაძე

**მოპასუხე:** დ. სურამის საკრებულო

**სასარჩელო მოთხოვნა: ა)** დაეკისროს მოპასუხეს გასცეს იმ მასალების ასლები, რომელთა საფუძველზეც მიიღო გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეთა არ აღძვრის შესახებ (პროკურატურის მიერ არ იქნა აღძრული საქმე ზოგიერთი თანამდებობის პირის მიერ ქონებრივ და საფინანსო დეკლარაციაში კანონის შესაძლო დარღვევების შესახებ, რაზედაც რამდენჯერმე მიაწოდა პროკურატურას მასალა "თავისუფალ ჟურნალისტთა კლუბმა"); **ბ)** დაეკისროს მოპასუხეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლის შესრულება.

**სასამართლოს გადაწყვეტილება:** 2003 წლის 25 აგვისტოს. სარჩელი დაკმაყოფილდა საჯარო ინფორმაციის გაცემის ნაწილში.

## **9. "დემოკრატ მესხთა კავშირი" - ახალციხის რაიონული სახელმწიფო არქივის წინააღმდეგ**

**ახალციხის რაიონული სასამართლო**

**სარჩელის შეტანის თარიღი:** 2003 წლის 7 აპრილი

**მოსარჩელე:** არასამთავრობო ორგანიზაცია "დემოკრატ მესხთა კავშირი"

**მოპასუხე:** ახალციხის რაიონული სახელმწიფო არქივი

**სასარჩელო მოთხოვნა:** მოსარჩელემ მოითხოვა რომ ახალციხის რაიონის ცენტრალურ არქივს დავალებოდა მის მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის გაცემა, კერძოდ "ახალციხის რაიონის დემოგრაფიული მდგომარეობა 1944 წლის მდგომარეობით, სასოფლო საბჭოებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდება, ინფორმაცია მასში მცხოვრებ კომლთა და სულთა რაოდენობის, მათი ეთნიკური და ეროვნული შემადგენლობის შესახებ."

**სასამართლოს გადაწყვეტილება (I ინსტანცია):** მიღებულ იქნა 2003 წლის 19 მაისი. სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოსამართლე: ნელი ღონლაძე.

## **10. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - განათლების სამინისტროს წინააღმდეგ**

**ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლო**

**სარჩელის შეტანის თარიღი:** 2003 წლის 20 მარტს (20.03.03)

**მოსარჩელე:** საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

**მოპასუხე:** საქართველოს განათლების სამინისტრო

**სასარჩელო მოთხოვნა:** მოსარჩელემ მოითხოვა, რომ განათლების სამინისტროს დაევალოს მის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის გაცემა, კერძოდ: **ა)** სახელმძღვანელო ინსტრუქციები რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხების და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტების საფუძველზე შესყიდვების განხორციელებისათვის; **ბ)** კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ.

**სასამართლოს გადაწყვეტილება (I ინსტანცია):** მიღებულ იქნა 2003 წლის 17 ივლისი. სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად.

## **11. თეა გომელაური - დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე შ.კვარაცხელიასა წინააღმდეგ**

**დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლო**

(სარჩელი თავდაპირველად შეტანილი იქნა საოლქო სასამართლოში, ხოლო ამ უკანასკნელმა გადაუგზავნა დიდუბის სასამართლოს, როგორც მისი განსჯადი საქმე.)

**მოსარჩელე:** თეა გომელაური

**მოპასუხე:** დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე შ. კვარაცხელია

**სასარჩელო მოთხოვნა:** მოსარჩელემ მოითხოვა, სასამართლოს დავალებოდა მის წარმოებაში არსებული სამოქალაქო საქმის (მსოფლიო მზრუნველობის განვითარების სააგენტოსა და მოპასუხე გია კენჭაძეს შორის არსებული დავა) მასალების გაცნობა მოსარჩელისთვის აგრეთვე პროცესის ხარჯების ანაზღაურება 1800 ლარის ოდენობით.

**რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება:** 2002 წლის 4 ნოემბერი; სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოსამართლე: თ. საბიაშვილი.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:** 2003 წლის 23 ივლისს, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ-მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, მაგრამ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

**საკასაციო სასამართლოს განჩინება:** მიღებულ იქნა 2003 წლის 25 დეკემბერს. საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

## **12. ბელა ჯიკაევა - დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს წინააღმდეგ**

**დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლო**

როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, მოსარჩელემ სარჩელი წარადგინა საოლქო სასამართლოში დიდუბის სასამართლოს წინააღმდეგ, რომლისგანაც მიღებული ჰქონდა პასუხი ინფორმაციის გაცემაზე უარის შესახებ, ხოლო საოლქო საქმე განსახილველად გადაუგზავნა დიდუბეს.

**სარჩელის შეტანის თარიღი:** სარჩელი შეტანილია 2003 წლის 29 აპრილს (29.04.03)

**მოსარჩელე:** ბელა ჯიკაევა

**მოპასუხე:** დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლო

**სასარჩელო მოთხოვნა:** მოსარჩელე მოითხოვს, რომ დიდუბის სასამართლომ აცნობოს, გაცემული იყო თუ არა მისი ბინის და ეზოს ჩხრეკის შესახებ ბრძანება, რომელიც განხორციელდა 2003 წლის 5 აპრილს.

**სასამართლოს გადაწყვეტილება:** მიღებულ იქნა 2003 წლის 31 ივლისს. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

### **13. ლუბა სვიმონიშვილი - ქ. თბილისის მერიისა და ქონება-ის მართვის სამმართველოს წინააღმდეგ**

**მთანმინდა- კრწანისის რაიონული სასამართლო**

**სარჩელის შეტანის თარიღი:** 2002 წლის 12 სექტემბერს

**წარმოებაში მიღების თარიღი:** 2003 წლის 7 აპრილი

**მოსარჩელე:** ლუბა სვიმონიშვილი

**მოპასუხე:** ქ. თბილისის მერია და ქონების მართვის სამმართველო

**სასარჩელო მოთხოვნა:**

მოსარჩელემ მოითხოვა, რომ მოპასუხეებს (ქ. თბილისის მერია; თბილისის ქონების მართვის სამმართველო) დავალებოდათ შემდეგი ინფორმაციის გაცემა: რომელი საწარმოა ქ.თბილისის მერიის ვაჭრობისა და მომსახურების სამმართველოს, საქალაქო-სავაჭრო გაერთიანება "მამულის" სამართალმემკვიდრე, როდის და რომელ სასამართლოში გაიარა ამ საწარმომ რეგისტრაცია, რა ქონება გააჩნდა ქ.თბილისის მერიის ვაჭრობისა და მომსახურების სამმართველოს, საქალაქო-სავაჭრო გაერთიანება "მამულის" (ამომწურავი ჩამონათვალი) და მის სამართალმემკვიდრეს და რა ბედი ეწია აღნიშნულ ქონებას, ვის ეკუთვნის აღნიშნული ქონება დღეის მდგომარეობით, გასხვისების შემთხვევაში მოპასუხეებმა კონკრეტულად მიუთითონ გასხვისების საფუძველი, თარიღი და შემძენი.

**სასამართლოს გადაწყვეტილება:** მიღებულ იქნა 2003 წლის 21 აპრილი. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:** მიღებულ იქნა 2003 წლის 2 ოქტომბერი; სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.

**საკასაციო სასამართლოს განჩინება:** მიღებულ იქნა 2004 წლის 18 მარტი. საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

### **14. "პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისათვის" - საქართველოს ენერჯეტიკის მარაგპულირებალი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ**

**ქალაქ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო**

**სარჩელის შეტანის თარიღი:** 2002 წლის 1 მარტი

**მოსარჩელე:** რეგისტრირებული კავშირი "პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისათვის"

**მოპასუხე:** საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია

**სასარჩელო მოთხოვნა:** მოსარჩელე მოითხოვდა რომ სემეკ-ს დავალებოდა მასსა და აუდიტორულ კომპანია "CPMG@-ის შორის

დადებული ხელშეკრულების საფუძველზე "CPMB@-ის მიერ ს.ს."ეი-ი-ეს თელასში"-ში განხორციელებული აუდიტორული შემოწმების შედეგად შედგენილი დასკვნის ქსეროასლის გაცემა.

**სასამართლოს გადაწყვეტილება:** მიღებულ იქნა 2003 წლის 24 იანვარს (24.01.03) სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

### **15. "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" - ი.ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ**

**ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო**

**სარჩელის შეტანის თარიღი:** 2002 წლის 30 სექტემბერი

**წარმოებაში მიღების თარიღი:** 2002 წლის 7 ოქტომბერი

**მოსარჩელე:** საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

**მოპასუხე:** საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

**სასარჩელო მოთხოვნა:** მოსარჩელემ მოითხოვა, რომ მოპასუხეს დავალებოდა მის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის გაცემა, კერძოდ: ინფორმაცია უნივერსიტეტის მიერ 2001 წელს მიღებული შემოსავლებისა და განეული ხარჯებს შესახებ, აგრეთვე მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაკისრება მოპასუხისათვის.

**სასამართლოს გადაწყვეტილება:** მიღებულ იქნა 2002 წლის 5 დეკემბერს. სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად.

### **16. გიორგი ჭიკაიძე - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ**

**ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო**

**სარჩელის შეტანის თარიღი:** 2003 წლის 9 იანვარი

**მოსარჩელე:** გიორგი ჭიკაიძე

**მოპასუხე:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

**სასარჩელო მოთხოვნა:** მოსარჩელემ მოითხოვა, რომ ფინანსთა სამინისტროს დაევალოს მის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის გაცემა, კერძოდ: ინფორმაცია სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსასრულებლად სააღსრულებო ფონდის შექმნის; 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მე-16 მუხლის "ვ" პუნქტის თანახმად სააღსრულებო ფონდის ანგარიშზე სამი მილიონი ლარის გადარიცხვისა და ამ გზით სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსასრულებლად ხარჯვის შესახებ.

**სასამართლოს გადაწყვეტილება:** მიღებულ იქნა 2003 წლის 15 აპრილი. სარჩელი დაკმაყოფილდა.

## **17. ვახტანგ სკანაძე - საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გლდანი-ნაძალადევის რაიონული ფილიალის წინააღმდეგ**

**გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლო**

**სარჩელის შეტანის თარიღი:** 2003 წლის 15 აპრილი

**მოსარჩელე:** ვახტანგ სკანაძე

**მოპასუხე:** საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გლდანი-ნაძალადევის რაიონული ფილიალი

**სასარჩელო მოთხოვნა:** მოსარჩელე მოითხოვს, რომ სოც. დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ ფილიალს დაევალოს მის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის გაცემა, კერძოდ 1997 წლის დეკემბრისათვის მოქმედი საპენსიო საკითხების მარეგულირებელი დოკუმენტების(დებულება) და მისი საპენსიო საქმის ასლი.

**სასამართლოს გადაწყვეტილება:** მიღებულ იქნა 2003 წლის 6 მაისი. სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეს დაევალა დებულების გაცემა, რაც შეეხება საპენსიო საქმის მასალებს ამ ნაწილში უარი ეთქვა მოპასუხეს. იმ მოტივით რომ საპენსიო საქმე არ არსებობს.

## **18. გაზეთი "ალია"- საქართველოს გენერალური პროკურატურის წინააღმდეგ**

**მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლო**

**სარჩელის შეტანის თარიღი:** 2003 წლის 14 თებერვალი

**მოსარჩელე:** გაზეთი "ალია"

**მოპასუხე:** საქართველოს გენერალური პროკურატურა

**სასარჩელო მოთხოვნა:** მოსარჩელემ მოითხოვა გენერალური პროკურატურის მიერ მისდამი გაგზავნილი წერილის, როგორც ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა და პროკურატურისათვის ქმედების განხორციელების, ანუ მის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის გაცემის დავალება. (1986 წელს მამუკა ასლანიკაშვილის თვითმკვლელობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის მასალები).

**რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება:** მიღებულ იქნა 2003 წლის 3 აპრილი. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:** მიღებულ იქნა 2003 წლის 6 აგვისტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

**საკასაციო სასამართლოს განჩინება:** მიღებულ იქნა 2003 წლის 3 დეკემბერს. საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

**19. "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" - საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამის შემუშავებელი სამთავრობო კომისიის წინააღმდეგ**

**კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლო**

**სარჩელის შეტანის თარიღი:** 2003 წლის 9 ივლისი

**მოსარჩელე:** საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

**მოპასუხე:** საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამის შემუშავებელი სამთავრობო კომისია (2003 წლის განჩინებით სასამართლომ საქმეში მოპასუხედ ჩააბა კომისიის უფლებამონაცვლე: საქართველოს პრეზიდენტი, სახელმწიფო კანცელარია.)

**სასარჩელო მოთხოვნა:** დაევალოს საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამის შემუშავებელი სამთავრობო კომისიას საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის გაცემა, კერძოდ, წერილობითი მონაცემების მიწოდება იმის შესახებ, თუ რა თანხები იქნა გამოყოფილი საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამის შემუშავებისათვის, ვის მიერ იქნა გამოყოფილი აღნიშნული თანხები და კონკრეტულად რისთვის უნდა მომხდარიყო მათი განკარგვა; დაევალოს საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამის შემუშავებელი სამთავრობო კომისიას საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისათვის ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება.

**სასამართლოს გადაწყვეტილება:** მიღებულ იქნა 2003 წლის 17 ოქტომბერი. სარჩელი დაკმაყოფილდა.

**20. დავით გურგენიძე - საქართველოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ**

**ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო**

**სარჩელის შეტანის თარიღი:** 2003 წლის 23 მაისს

**წარმოებაში მიღების თარიღი:** 2003 წლის 22 ივნისი

**მოსარჩელე:** დავით გურგენიძე

**მოპასუხე:** საქართველოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. წარმომადგენელი ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე დ.შარაბიძე.

**სასარჩელო მოთხოვნა:** მოპასუხეს დაეკისროს გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის გაცემა, კერძოდ თბილისის საოლქო სასამართ-

ლოს მოსამართლის, პაატა ქობულაძის, სტუდენტობის დროინდელი პერსონალური მონაცემების გაცემა (მის შესახებ უნივერსიტეტში დაცული ინფორმაცია).

## **21. დავით გურგენიძე - საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ**

**კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლო**

**სარჩელის შეტანის თარიღი:** 2003 წლის 24 ივნისი

**მოსარჩელე:** დავით გურგენიძე

**მოპასუხე:** საქართველოს პარლამენტში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად დადგენილი პასუხისმგებელი

**სასარჩელო მოთხოვნა:** დაევალოს მოპასუხეს მოსარჩელის მიერ განცხადებით მოთხოვილი ინფორმაციის გაცემა, კერძოდ, პარლამენტის ყოფილი თანამშრომლის ამჟამად მოსამართლე პაატა ქობულაძის პერსონალური მონაცემები-პარლამენტში დაცული მის შესახებ არსებული მთელი საჯარო ინფორმაცია: კადრების აღრიცხვის ფურცელი, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, ავტობიოგრაფია და ა. შ.

## **22 თებრონე გომელაური - საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს წინააღმდეგ**

**კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლო**

**მოსარჩელე:** თებრონე გომელაური

**მოპასუხე:** საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო

**სასარჩელო მოთხოვნა:** ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47.1 მუხლის საფუძველზე გაუქმდეს საქ. უშიშროების სამინისტროს 2002 წლის 7 აგვისტოს №9\5-720, № 10\ 6.6-2 უარი მის შესახებ საქ. უშიშროების სამინისტროში აშშ-ს საელჩოდან შემოსული და მისი გადამონმების შედეგად შექმნილი მასალების გადმოცემის შესახებ. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე და 41.1 მუხლების, ზაკ-ის მე-10 მუხლისა და II თავის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.2 მუხლის "გ" პუნქტის და 24 მუხლის საფუძველზე უშიშროების სამინისტრომ გადასცეს მის შესახებ არსებული ინფორმაცია, სახელდობრ:

- ა)** საქართველოს უშიშროების სამინისტროს შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ფურნალის ქსეროასლი, სადაც ასახულია აშშ-ს საელჩოდან მის შესახებ მიღებული საბუთების შემოსვლის ფაქტი, თარიღი, შემოსული დოკუმენტაციის სათაური და შინაარსი;
- ბ)** აშშ-ს საელჩოდან მის შესახებ მიღებული საბუთების ქსეროასლები;

გ) უფლებამოსილი პირის დადგენილება მის მიმართ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების და აგრეთვე მოკვლევული მასალების განადგურების შესახებ;

დ) ოპერატიულ სამძებრო ღონისძიების ჩატარების შედეგად მის მიმართ მოპოვებული, წარმოებული და შედგენილი დოკუმენტები;

ე) 2000 წლის 24 ივლისს ანტიტერორისტულ ცენტრში მის მიერ მიღებული წერილობითი ახსნა-განმარტების ქსეროასლი;

ვ) საქართველოს უშიშროების სამინისტროდან გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალის ქსეროასლი, სადაც ასახულია აშშ-ს საელჩოდან მის მიერ მიღებულ საბუთებზე რეაგირების შესახებ გაგზავნილი პასუხის გასვლის ფაქტი, თარიღი, შინაარსი და ადრესატი;

ზ) აშშ-ს საელჩოში გაგზავნილი წერილობითი პასუხის ქსეროასლი შემოსულ საბუთებზე რეაგირების შესახებ;

თ) მოსარჩელის შესახებ ზეპირი ინფორმაცია და სხვა სახის ინფორმაცია, რომელიც არსებობს თ. გომელაურზე.

**რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება:** მიღებულ იქნა 2003 წლის 30 ივნისს. სარჩელი დაკმაყოფილდა.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:** მიღებულ იქნა 2004 წლის 12 იანვარი 12.01.2004. სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა რაიონულის გადაწყვეტილება, ბათილად იქნა ცნობილი უშიშროების სამინისტროს წერილი, - "საქ. უშიშროების სამინისტრომ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე გამოსცეს ახალი ადმინისტრაციული აქტი".

### **23. ა. მესხელი - ახალციხის №37 საოლქო საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ**

**ახალციხის რაიონული სასამართლო**

**სარჩელის შეტანის თარიღი:** 2002 წლის 18 ივნისი

**მოსარჩელე:** ა. მესხელი

**მოპასუხე:** №37 საოლქო საარჩევნო კომისია

**სასარჩელო მოთხოვნა:** მოპასუხისათვის საოლქო საარჩევნო ოქმების ასლების გადაცემის დაკისრება და მის მიერ გადახდილი სახ. ბაჟის - 10 ლარის და საადვოკატო მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის - 150 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

**რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება:** მიღებულ იქნა 2002 წლის 16 ივლისს. სარჩელი დაკმაყოფილდა.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:** მიღებულ იქნა 2002 წლის 16 ნოემბერი (16.11.02). სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

ოფილდა ნანილობრივ - ახალციხის რაიონული სასამართლოს 16.07.02 გადაწყვეტილებისა და 02.08.02 დამატებითი გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება. ა. მესხელის სარჩელი დაკმაყოფილდა ნანილობრივ. ახალციხის №37-ე საოლქო საარჩევნო კომისიას დაევალა ა. მესხელისათვის 02.06.02წ. საარჩევნო ოქმების ქსეროასლების გადაცემა. ა. მესხელს უარი ეთქვა სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ გადახდილი 10 ლარისა და ადვოკატის მომსახურებისათვის გაღებული ხარჯის 150 ლარის საოლქო საარჩევნო კომისიისათვის დაკისრების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

**საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:** მიღებულ იქნა 2003 წლის 29 მაისს 29.05.03წ. საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

## **24. ნელი მუმლაძე - საქართველოს უზენაესი სასამართლოს წინააღმდეგ**

**კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლო**

**მოსარჩელე:** ნელი მუმლაძე, წარმომადგენელი ავთანდილ კახნიაშვილი

**მოპასუხე:** საქართველოს უზენაესი სასამართლო

**სასარჩელო მოთხოვნა:** საქართველოს უზენაეს სასამართლოს დაევალოს ნელი მუმლაძის მიერ 1999 წლის 4 იანვარს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე შეტანილი საზედამხედველო საჩივრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატისათვის გადაცემა. ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე უზენაესმა სასამართლომ გასცეს ინფორმაცია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს შორის ფუნქციების განაწილებისა და მათ მიერ გადაწყვეტილებათა მიღების 1999 წლის 15 მაისამდე მოქმედი წესის შესახებ.

**რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება:** მიღებულ იქნა 2002 წლის 19 მარტი 19.03.02წ. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება):** 2002 წლის 28 ივნისი სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

**საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:** მიღებულ იქნა 2003 წლის 18 თებერვალს. საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

## **25. პეტრე ზამბახიძე - აჭარის ავრ უმაღლესი სასამართლო- ლოს წინააღმდეგ**

**აჭარის ავრ უმაღლესი სასამართლო**

**სარჩელის შეტანის თარიღი:** 2001 წლის 23 ოქტომბერი

**მოსარჩელე:** პეტრე ზამბახიძე

**მოპასუხე:** აჭარის ავრ უმაღლესი სასამართლო

**სასარჩელო მოთხოვნა:** საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ავრ უმაღლესი სასამართლოს 2001 წლის 27 ივლისის №588 წერილის, როგორც ადმინისტრაციული აქტის გაუქმება, სა-  
ჯარო ინფორმაციის გაცემა, განცხადებით გამოთხოვილი ინფორ-  
მაციის მიუღებლობით მიყენებული ქონებრივი ზიანის - 26 480 ლარ-  
ისა და მორალური ზიანის - 550 002 ლარის ოდენობით ანაზღაურება.

**რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება):** მიღე-  
ბული იქნა 2001 წლის 18 დეკემბერს. სასარჩელო განცხადება და-  
ტოვებული იქნა უმოძრაოდ.

**სასამართლოს განჩინება**

აჭარის ავრ უმაღლესი სასამართლოს 2002 წლის 8 თებერვლის გან-  
ჩინებით, დაუსაბუთებლობის მოტივით კერძო საჩივარი არ დაკ-  
მაყოფილდა და განსახილველად გადაიგზავნა უზენაეს სასამართ-  
ლოში, თანახმად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექ-  
სის 417-ე მუხლისა.

**საკასაციო სასამართლოს განჩინება:** მიღებულ იქნა 2002 წლის  
19 აპრილი. კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა. აჭარის ავრ უმაღლესი  
სასამართლოს 2001 წლის 18 დეკემბრისა და 2002 წლის 8 თებერვ-  
ლის განჩინებები გაუქმებული იქნა.

## **26. როსტომ ხომერიკი - განათლების სამინისტროს წინააღმდეგ**

**დიდუბე-ჩულურეთის რაიონული სასამართლო**

**სარჩელის შეტანის თარიღი:** 2002 წლის 1 ოქტომბერი

**მოსარჩელე:** როსტომ ხომერიკი

**მოპასუხე:** განათლების სამინისტრო

**სასარჩელო მოთხოვნა:** ა) დაეკისროს მოპასუხეს განათლების  
სამინისტროს 2002 წლის 21 ივნისის №138 ბრძანების, 2002 წლის 16  
ივლისს ჩატარებული კონკურსის დებულების და ამ კონკურსში  
მონაწილე პირებზე საკონკურსო კომისიის მიერ შედგენილი  
დასკვნების გაცემა.

**სასამართლოს გადაწყვეტილება:** მიღებულ იქნა 2002 წლის 29  
ნოემბერი, სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნა.

## **27. ქეთევან შენგელია - ტექ-აღრიცხვის სამსახურის წინააღმდეგ**

**დიდუბე ჩუღურეთის რაიონული სასამართლო**

**სარჩელის შეტანის თარიღი:** 2002 წლის 16 ივლისი

**წარმოებაში მიღების თარიღი:** 16.07.2002

**მოსარჩელე:** ქეთევან შენგელია

**მოპასუხე:** ტექნიკური აღრიცხვის სამსახური

**სასარჩელო მოთხოვნა:** ტექ.აღრიცხვის სამსახურს დავალებოდა ფალიაშვილის ქ№92-ში მდებარე სახლთმფლობელობის "საინვენტარიზაციო საქმეში" შესული საბუთების თავდაპირველი ზუსტი სრული სიის დამოწმებული ასლების მოსარჩელეზე გადაცემა, აგრეთვე აღნიშნული "საინვენტარიზაციო საქმის" საბუთებისა და სააღრიცხვო მონაცემების აღდგენა, აღნიშნული დოკუმენტების დამოწმებული ასლის გაცემა და სხვა დოკუმენტაციის (სამსახურებრივი მონაცემები და სხვ.) ასლების გაცემა.

**სასამართლოს გადაწყვეტილება:** 2003 წლის 24 მარტი. სარჩელი დაკმაყოფილდა. დაუსწრებელი გადაწყვეტილება - მოპასუხის წარმომადგენლის ხელმეორედ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო. მოსამართლე: შ. კვარაცხელია.

## **28. საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირი "სოლიდარობის" პრაზიდენტი მანანა ლურჭუაშვილი - ქ. ქუთაისის ფოლკლორის სასახლის წინააღმდეგ**

**ქუთაისის საქალაქო სასამართლო**

**სარჩელის შეტანის თარიღი:** 21.04.2003

**მოსარჩელე:** კახა კალმახელიძე, საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირი "სოლიდარობის" პრაზიდენტი-მანანა ლურჭუაშვილი

**მოპასუხე:** ქ.ქუთაისის ფოლკლორის სასახლე

**სასარჩელო მოთხოვნა:** დაევალოს მოპასუხეს საჯარო ინფორმაციის გაცემა დაუყოვნებლივ

**სასამართლოს გადაწყვეტილება-განჩინება:** 04.06.2003 სასამართლომ შეწყვიტა საქმე წარმოებით. მოსამართლე: მერაბ კოზმაგა.

## **29. საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირის "სოლიდარობის" პრაზიდენტი-მანანა ლურჭუაშვილი - ქ.ქუთაისის განათლების განყოფილების გამგე ნორა ბოჭორიშვილის წინააღმდეგ**

**ქუთაისის საქალაქო სასამართლო**

**მოსარჩელე:** საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალი

პროფკავშირის "სოლიდარობის" პრეზიდენტი-მანანა ლურჯუმელიძე. ადმინისტრაციული სარჩელი

**მოპასუხე:** ქ.ქუთაისის განათლების განყოფილების გამგე- ნორა ბოჭორიშვილი

**სასარჩელო მოთხოვნა:** ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად სასამართლომ გამოიტანოს დროებითი განჩინება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

**სასამართლოს გადაწყვეტილება-განჩინება:** მიღებულ იქნა 2003 წლის 27 ივნისს. მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

### **30. საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირი "სოლიდარობა" - ქ.ქუთაისის მესამე საშუალო სკოლის დირექტორ თ. ლოლაძის და აკ. ნერეთლის სახელობის კლასიკური გიმნაზიის დირექტორ თ. ფირცხალაშვილის წინააღმდეგ**

ქუთაისის საქალაქო სასამართლო

**მოსარჩელე:** საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირი "სოლიდარობის" წარმომადგენელი მაია ლიპარტელიანი

**მოპასუხე:** ქ.ქუთაისის მესამე საშუალო სკოლის დირექტორი - თ. ლოლაძე, აკ. ნერეთლის სახელობის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი თ. ფირცხალაშვილი

**სასარჩელო მოთხოვნა:** ა) საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ საჯარო ინფორმაციის მიღება; ბ) დროებითი განჩინების გამოტანა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე - დაევალოს საჯარო ინფორმაციის გაცემა დაუყოვნებლივ.

**სასამართლოს გადაწყვეტილება:** მიღებულ იქნა 2003 წლის 20 ივნისს. სარჩელი დაკმაყოფილდა.

### **31. საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირი "სოლიდარობის" დირექტორი მანანა ლურჯუმელიძე - ქ.ქუთაისის №3 ბაბა-ბაღის გამგე ლ. ფანცხავას, №4 ბაბა ბაღის გამგე ხუჭუასა და სხვათა წინააღმდეგ**

ქუთაისის საქალაქო სასამართლო

სარჩელის შეტანის თარიღი: 17.07.2003

**მოსარჩელე:** საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირი "სოლიდარობის" დირექტორი მანანა ლურჯუმელიძე

**მოპასუხე:** ქ.ქუთაისის №3 ბაგა-ბაღის გამგე - ლ.ფანცხავა, №4 ბაგა ბაღის გამგე ხუჭუა და სხვათა მიმართ

**სასარჩელო მოთხოვნა:** მოპასუხის ქმედება გამოცხადდეს არაკანონიერად, დაევალოს საჯარო ინფორმაციის გაცემა დაუყოვნებლივ, დროებითი განჩინების გამოტანა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

**სასამართლოს გადაწყვეტილება-განჩინება:** მიღებულ იქნა 2003 წლის 10 ივნისს. მოთხოვნა დაკმაყოფილდა. მოსამართლე: მერაბ კოზმავა.

**32 საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირი "სოლიდარობის" დირექტორი მანანა ლურჯუაშვილი - ქ.ქუთაისის აკ. ნარეტილის სახელობის კლასიკური გიმნაზიის დირექტორ თამაზ ფირცხალაიშვილის, ფიზიკა-მათემატიკის გიმნაზიის დირექტორ ივლიანა ნაჭყვიასა და სხვათა წინააღმდეგ**

ქუთაისის საქალაქო სასამართლო

სარჩელის შეტანის თარიღი: 13.03.2003

**მოსარჩელე:** საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირი "სოლიდარობის" დირექტორი მანანა ლურჯუაშვილი

**მოპასუხე:** საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირი "სოლიდარობის" დირექტორი მანანა ლურჯუაშვილი

**სასარჩელო მოთხოვნა:** დროებითი განჩინების გამოტანა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

**სასამართლოს გადაწყვეტილება-განჩინება:** მიღებულ იქნა 2003 წლის 10 ივნისს. მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

**33. თამარ კორძია - სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" წინააღმდეგ**

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო

სარჩელის შეტანის თარიღი: 2003 წლის 15 ოქტომბერი

**წარმოებაში მიღების თარიღი:** 2003 წლის 17 ოქტომბერს მიღებული იქნა განჩინება ხარვეზის შესახებ. განცხადება ხარვეზის შევსების შესახებ შეტანილი იქნა 2003 წლის 31 ოქტომბერს

**მოსარჩელე:** თამარ კორძია

**მოპასუხე:** სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობა", წარმომადგენელი მ. ივანელაშვილი

**სასარჩელო მოთხოვნა:** დაევალოს სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობას" შემდეგი საჯარო ინფორმაციის გაცემა:

ა) საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 13 ივნისის № 710 განკარგულების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ტელევიზიისა და რადიომუხწყებლობის კორპორაციას შორის დადებული ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულებით ურთიერთობასთან დაკავშირებული ყველი დოკუმენტი;

ბ) მაუწყებლობის თავმჯდომარის 2001 წლის 22 მარტის № 23 ბრძანება "საკონკურსო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ";

გ) 2001 წლის 28 სექტემბრის № 84 ბრძანება მაუწყებლობის მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის შესახებ;

დ) "ტელეცენტრის" ყოფილი მთავარი ბუღალტრის ნ. ქევხიშვილის მიერ ავტომანქანების რეალიზაციიდან მიღებულ თანხებზე წარმოდგენილი სალაროს შემოსავლის ორდერები;

ე) 2002 წლის 4 მარტის № 14 ბრძანება «ქართული ტელეფილმის» 2001 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური რევიზიის შესახებ და რევიზიასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი;

ვ) სასამართლო ხარჯები დაეკისროს მოპასუხე მხარეს.

**სასამართლოს გადაწყვეტილება:** მიღებულ იქნა 2004 წლის 26 იანვარი. სარჩელი დაკმაყოფილდა. სსიპ "საქტელერადიომუხწყებლობას" დაეკისროს სახელმწიფო ბაჟი 30 ლარი.

### **34. თინა ალავეიძე - ქ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ**

**ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო**

**მოსარჩელე:** თინა ალავეიძე

**მოპასუხე:** ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სასარჩელო მოთხოვნა:** ა) დაეკისროს მოპასუხეს არაორგანული ქიმიის კათედრის გამგის -რომან გიგაურის მიერ მოსარჩელის წინააღმდეგ დაწერილი საჩივრების ასლების გაცემა; ბ) დაეკისროს ადმინისტრაციულ ორგანოს ინფორმაციის გაცემაზე ვალდებული პირის ქმედებაზე შესაბამისი პასუხისმგებლობა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით გათვალისწინებული წესითა და ფარგლებში.

**სასამართლოს გადაწყვეტილება:** მიღებულ იქნა 2004 წლის 27 თებერვალს. სარჩელი დაკმაყოფილდა საჯარო ინფორმაციის გაცემის ნაწილში. მეორე მოთხოვნაზე სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე მხარემ უნდა იმსჯელოს, საჯარო ინფორმაციის გაუცემლობით ადგილი ხომ არ აქვს საჯარო მოსამსახურის მიერ დისციპლინარულ გადაცდომას და თუ ასეთი არსებობს, მიიღოს პასუხისმგებლობის ზომები.

### **35. კავშირი "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" - ქ. თბილისის ტექნიკური ალრიცხვის სამსახურის წინააღმდეგ**

**დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლო**

**სარჩელის შეტანის თარიღი:** 2003 წლის 5 ივნისი

**მოსარჩელე:** კავშირი კონსტიტუციის 42-ე მუხლი

**მოპასუხე:** ტექნიკური ალრიცხვის სამსახური

**სასარჩელო მოთხოვნა:** ა) დაევალოს მოპასუხეს შეიკავოს თავი რაიმე სახის საფასურის მოთხოვნისაგან მასთან არსებული საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის და მოახდინოს ამ ინფორმაციის გაცემა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხისა; ბ) ასევე დაევალოს მოპასუხეს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა, კერძოდ კი ინფორმაცია თუ ვის სახელზე ირიცხება თბილისში ხარფუხის ქ. №13-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 16 კვ/მ სარდაფი.

**სასამართლოს გადაწყვეტილება:** მიღებულ იქნა 2004 წლის 10 იანვარს. სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოთხოვნა არა სწორედ დაყენებულად ჩათვალია სასამართლომ.

### **36. გიგა ბოკერია - ქ. თბილისის პროკურატურის წინააღმდეგ**

**ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო**

**სარჩელის შეტანის თარიღი:** 2002 წლის 22 მარტი

**მოსარჩელე:** გიგა ბოკერია

**მოპასუხე:** ქ. თბილისის პროკურატურა

**სასარჩელო მოთხოვნა:** მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა

**სასამართლოს გადაწყვეტილება:** სასამართლომ განჩინება მიიღო 2002 წლის 8 მაისს. მხარეები სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ, ამიტომ სასამართლომ სასარჩელო განცხადება დატოვა განუხილველად.

### **37. "პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისათვის" - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ**

**ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო**

**სარჩელის შეტანის თარიღი:** 2001 წლის 14 ნოემბერი

**მოსარჩელე:** "პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისათვის"

**მოპასუხე:** საქ. ფინანსთა სამინისტრო

**სასარჩელო მოთხოვნა:** ა) მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა; ბ) მორალური ზიანის ანაზღაურება 1000 ლარის ოდენობით.

**სასამართლოს გადაწყვეტილება:** განჩინება მიღებულ იქნა 2002 წლის 13 თებერვალს. სასამართლომ შეწყვიტა საქმის წარმოება მოსარჩელის 2002 წლის 12 თებერვლის განცხადების საფუძველზე, რომლითაც მოსარჩელემ მოითხოვა საქმის შეწყვეტა იმ მოტივით, რომ უარი თქვა სარჩელზე.

**38. საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი აღმასრულებელი დირექტორი ლევან ხინთიბიძე - ოსურგეთის საოლქო საგადასახადო ინსპექციის წინააღმდეგ**

**ოზურგეთის რაიონული სასამართლო.**

**სარჩელის შეტანის თარიღი:** 2003 წლის 28 ივლისი

**მოსარჩელე:** საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი - აღმასრულებელი დირექტორი ლევან ხინთიბიძე

**მოპასუხე:** ოზურგეთის საოლქო საგადასახადო ინსპექცია

**მოთხოვნა:** საჯარო ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმის შესახებ საგადასახადო ინსპექციის გადაწყვეტილების შეცვლა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად მათზე შემდეგი სახის ინფორმაციის გაცემას: **ა)** გააჩნია თუ არა შპს "ოზურგეთის წყალკანალს" საგადასახადო დავალიანება (2002 წლის მიხედვით), დადებითი პასუხის შემთხვევაში მისი სახეობისა და რაოდენობის დაზუსტება; **ბ)** იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ჩამონათვალს რომლებსაც დაერიცხათ გადასახადი და ვერ გადაიხადეს 2002 წლის მიხედვით, თუ მათი დავალიანება 10000 ლარს აღემატება, კონკრეტულ იურიდიულ პირზე გადაუხდელი გადასახადის რაოდენობისა და სახეობის დაზუსტებით.

**სასამართლოს გადაწყვეტილება:** 2003 წლის 24 სექტემბერი. სარჩელი დაკმაყოფილდა.



მისასუბზე სასამართლო სახელმძავრ ბეჭედიანდ არასამატლო მიწვევით არ ჯამო-  
ცხადდა, აღმინისსრავალთი სამართლო კოლეჯის 25<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე სასამართ-  
ლო უკლებამისილია ჯამოიტანის ჯალაწვევტილება კანონის შესამამისად.

შევაფასე რა საარჩევლის დასამშვებობის საკითხი მიმარწნია, რამე საარჩევი  
არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული, რადგან მოხილენა მიმარადლია არასამართლო  
პირის მიმართ, რადგანაც პირნილენის რწმუნებულის დანამდებობა საქარვევლის  
კანონის აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმინობის წინის სე-  
სახებზე" შესამამისად მიგვეტენება სახელმწიფო კანავევტილის დამინკატირას.


ინხელმძღვანელები რა საქარვევლის სსსკ-ის 243-244-ე მუხლებით,  
დამინისსრავალთი სამართლო კოლეჯის 1-ლი, მე-12 მუხლებით

გ ა ლ ა ე წ ე ვ ი ბ ი ბ ი

"ხალხის ჯამოთის" აღმინისსრავალთი ქვევტიან ვიკამეილის საარჩევით არ დაკმა-  
ყოფილებს დასამშვებობის ჯამო.

ჯალაწვევტილების ამველია შენილება ერთ დეში დნილისის საოქო სასა-  
მართლოში ქ. დნილისი ვ. რამბაქიძის ქ. 117ა ვარის რაიონული სასამართლის მე-  
მეფობით მინარვეტირასაფის ჯალაწვევტილების ამდენის ჯალავევტიის დილან.

ვარის რაიონული სასამართლის

მ თ ს ა მ ბ რ ი ბ ე ბ ი ხელმოხერული ვარიტამეილი  
ილი სინოვა  


სასამართლო

## გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

22 ივლისი, 2004 წ.

გადანყვეტილების გამოტანის ადგილი: ქ.გორი

გადანყვეტილების გამომტანი სასამართლოს დასახელება: გორის რაიონული სასამართლო

მოსამართლე: გოჩა გოჩიტაშვილი

მდივანი: ლალი ბესტავაშვილი

მოსარჩელე: “ხალხის გაზეთის” ჟურნალისტი ქეთევან გიკაშვილი

მოპასუხე: შიდა ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ნიკოლოზ ადიკაშვილი

### გადანყვეტილების შინაარსი

განვიხილე “ხალხის გაზეთის” ჟურნალისტის ქეთევან გიკაშვილის სარჩელი შიდა ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ნიკოლოზ ადიკაშვილი

### გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

ხალხის გაზეთის” ჟურნალისტმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და ითხოვს შიდა ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ნიკოლოზ ადიკაშვილისათვის საჯარო ინფორმაციის, კერძოდ, პრეზიდენტის რწმუნებულის ავტობიოგრაფიის და ჯანმრთელობის ცნობის გაცემის დავალებას, რადგან ანალოგიურ თხონვაზე მან უარი განუცხადა.

მოპასუხე სასამართლო სხდომაზე ხელმეორედ არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადანყვეტილება კანონის შესაბამისად.

შევაფასე რა სარჩელის დასაშვებობის საკითხი, მიმაჩნია, რომ სარჩელი არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული, რადგან მოთხოვნა

მიმართულია არასათანადო პირის მიმართ, რადგანაც პრეზიდენტის რწმუნებულის თანამდებობა საქართველოს კანონის აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ შესაბამისად მიეკუთვნება სახელმწიფო კანცელარიის ნომენკლატურას.

ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს სსსკ-ის 243-244-ე მუხლებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-12 მუხლებით,

### გ ა დ ა ვ ნ ყ ვ ი ტ ე :

“ხალხის გაზეთის” ჟურნალისტის ქეთევან გიკაშვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს დაუშვებლობის გამო.

გადანყვეტილების აპელაცია შეიძლება ერთ თვეში თბილისის საოლქო სასამართლოში ქ.თბილისი გრ.რობაქიძის ქ.№17 ა გორის რაიონული სასამართლოს მეშვეობით მხარეებისათვის გადანყვეტილების ასლების გადაცემის დღიდან.

გორის რაიონული სასამართლოს

მოსამართლე: გ.გოჩიტაშვილი

### კომენტარი

სასამართლოს გადანყვეტილება, რბილად რომ ვთქვათ, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

გადანყვეტილება თავისი შინაარსით უპრეცედენტოა, ვინაიდან მოსამართლემ ერთი აბზაცით შეძლო დაესაბუთებინა უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

- მოსამართლემ ჩათვალა, რომ, ვინაიდან პრეზიდენტის რწმუნებული ‘მიეკუთვნება **სახელმწიფო კანცელარიის ნომენკლატურას**’, ასეთი სარჩელი დაუშვებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს;
- მოსამართლე გოჩა გოჩიტაშვილს არ უმსჯელია, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია რეალურად ინახებოდა თუ არა იმ საჯარო დაწესებულებაში, რომელსაც მოსარჩელემ მიმართა;

- გადანყვეტილებაში არ არის მითითებული, თუ რა ედო საფუძვლად სარჩელის შეტანას და რა ინფორმაციას ფლობდა მოსარჩელე მის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის მოპასუხესთან არსებობის შესახებ;
- სრულად იქნა იგნორირებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელიც მოცემულია მე-80 მუხლში და ავალებს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომ, 'თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადანყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს;“
- მოსამართლემ იხელმძღვანელა კანონით 'აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ', **რომელიც 11 თებერვლის შემდეგ ძალადაკარგულია;**
- სარჩელი არ დაკმაყოფილდა დასაშვებობის მოტივით, თუმცა გადანყვეტილებაში **არ არის მითითებული** ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ის მუხლი, რომელიც დასაშვებობას ეხება.